



K 42809
2



J. M. J. a b n

ღვინოს კერძოზე ახალი მ ი თ მ დ ე ც პ

K 42809

44

33

შემოგვითარებულობა „საგვორავ ს.
თბილისი, 1973



678.5
663.2
ლ 319

სპეც-2000
შემოწმებულია

ბროშურაში მოცემულია შაქტების, მელანოდან-
ნების, კარბონილური ნაერთების, pH, Eh, O₂, CO₂,
მინერალური ნივთიერების, აზოტისა და ფოსფორის
სხვადასხვა ფორმების განსაზღვრის ახალი მეთოდები,
რომელიც გამოიჩინევიან თავისი სიმარტვითა და ხა-
სუსტით.

ბროშურა დამტკიცებას გაუწიეს მეცნიერებაში
მომუშავე სპეციალისტებს.

მაღულარი ტებილის შავრიცხოვისა და ალკოჰოლის განსაზღვრა

(დამუშავა ვ დათუნაშვილმა, ცხრილი შეისწორა ა. ლაშმია)

პ რ ი ნ ც ი პ ი. არეომეტრით საზღვრავენ ტკბილის შავრიანობას დუღილის წინ და ხვედრით წონას დუღილის პროცესში; ცხრილში ნახულობენ დარჩენილ შავრისა და წარმოშობილი ალკოჰოლის რაოდენობას.

გ ა ნ ს ა ზ ღ ვ თ. პირველად ორკვევენ ტკბილის საწყის შავრიანობას, რისთვისაც 200—250 მლ-იან ცილინდრში ათავსებენ საანალიზო ყუოძნის წვენს, უშეებენ შიგ არეომეტრსა და თერმომეტრს, იღებენ ანათვალს და შესაბამის შაქარს ნახულობენ შავრის კონცენტრაციის საძიებელ ცხრილში ან ანგარიშობენ ფორმულით.

შავრის კონცენტრაციის დასადგენად ფორმულის საშუალებით პირველად შეაქვთ შესწორება არეომეტრის ჩვენებაში, რისთვისაც არეომეტრის ჩვენებას 20°C ზევით ჭოველ 1° -ზე უმატებენ $0,0002$, ქვევით $0,0001$ აკლებენ იგივე რაოდენობას. 20° -ზე მიყვანალ ხველრით წონას სვამენ ფორმულაში

$$C = \frac{A - 13}{3,65}$$

ც არის შაქტის კონცენტრაცია $\%_0$ -ობით

ა — ექსლეს გრადუსი (არეომეტრის ჩვენება მძიმის შემდეგ). იგივე წესით ანგარიშობენ მაღულარი ტეპილის ხვედრით წონას. მიღებულ ხვედრითი წონის შესაბამის დარჩენილ შაქტა და წარმოშობილ ალკოჰოლს ნახულობენ 1 ცხრილში.

მაგალითი. ვთქვათ ტეპილის ტემპერატურა დუღილის დაწყების წინ 30°C, არეომეტრმა ჟენ 1,079 ჟურვენა, მაშინ ხვედრითი წონა 20°-ზე იქნება

$$d = 1,079 + (0,0002 \times 10) = 1,081$$

ჩავსვათ ფორმულაში

$$C = \frac{81 - 13}{3,65} = 18,6\%$$

მაღულარი ტეპილის ხვედრითი წონა 20°-ზე მიყვანით აღმოჩნდა 1,020. პირველი ცხრილის მიხედვით 18,0% -იანი ტეპილის ხვედრითი წონა ოუ 1,020-ზდე დაეცა, მაშინ დაუშლელი შაქტი დარჩება 5 %. ხოლო ალკოჰოლი წარმოიშობა 7,5°.

ლინის ფალიციკაციის დადგენა

(დამუშავებულია ა. ლაშვილის და ტ. ცისკარიშვილის მიერ)

პრინციპი. მკაცრი გასუფთავების (გადალება, ფილტრაცია, გაწევა, ნისხლას ყვითელი მარილით დაზუშავება) შემდევრაც კი ყურძნის ღვინო ყოველთვის 200 მკ/ლ-ზე მეტ

မာရ်လျှောက် လူ အသုတေသနပါယ် ဒေဝါဒနာစီလျှင် မာလျှောက် ဖုန်းလျှောက်

ပို့ဆောင်ရေး ရွားခွဲ	၂၅%		၂၃.၆%		၂၁.၀%		၁၉.၆%		၁၈.၃%		၁၇.၀%		၁၅.၆%	
	%	မေသနပါယ်%	%	မေသနပါယ်%	%	မေသနပါယ်%	%	မေသနပါယ်%	%	မေသနပါယ်%	%	မေသနပါယ်%	%	
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၂၅.၀	၀.၀	၂၃.၆	၀.၀	၂၁.၀	၀.၀	၁၉.၆	၀.၀	၁၈.၃	၀.၀	၁၇.၀	၀.၀	၁၅.၆	၀.၀
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၂၄.၀	၀.၆	၂၂.၆	၀.၈	၂၀.၂	၁.၃	၁၉.၉	၀.၇	၁၈.၃	၀.၀	၁၇.၀	၀.၀	၁၅.၆	၀.၀
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၂၃.၀	၁.၂	၂၁.၆	၁.၅	၂၁.၃	၀.၆	၁၉.၃	၀.၇	၁၈.၃	၀.၀	၁၇.၀	၀.၀	၁၅.၆	၀.၀
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၂၂.၀	၁.၈	၂၁.၆	၁.၅	၁၉.၂	၁.၃	၁၉.၈	၁.၃	၁၈.၃	၀.၀	၁၇.၀	၀.၀	၁၅.၆	၀.၀
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၂၀.၈	၂.၅	၁၉.၄	၂.၅	၁၉.၁	၁.၉	၁၈.၈	၁.၃	၁၈.၃	၀.၀	၁၇.၀	၀.၀	၁၅.၆	၀.၀
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၁၉.၇	၃.၂	၁၈.၄	၂.၅	၁၉.၁	၁.၉	၁၈.၈	၁.၃	၁၇.၄	၁.၃	၁၇.၂	၁.၃	၁၅.၆	၁.၃
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၁၈.၅	၃.၉	၁၈.၃	၃.၂	၁၈.၀	၂.၆	၁၇.၇	၂.၀	၁၇.၄	၁.၃	၁၆.၁	၁.၃	၁၅.၆	၁.၃
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၁၇.၄	၄.၆	၁၇.၂	၃.၈	၁၆.၉	၃.၂	၁၆.၆	၂.၆	၁၆.၃	၂.၀	၁၆.၁	၁.၃	၁၅.၆	၁.၃
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၁၆.၂	၅.၃	၁၆.၀	၄.၅	၁၅.၈	၃.၉	၁၅.၅	၃.၃	၁၅.၂	၂.၆	၁၅.၀	၂.၀	၁၅.၆	၁.၃
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၁၅.၁	၅.၉	၁၄.၉	၅.၂	၁၄.၇	၄.၆	၁၄.၃	၄.၀	၁၄.၁	၃.၃	၁၃.၉	၂.၆	၁၃.၈	၁.၉
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၁၄.၀	၆.၆	၁၃.၈	၅.၉	၁၃.၆	၅.၂	၁၃.၂	၄.၇	၁၃.၀	၄.၀	၁၂.၈	၃.၃	၁၂.၇	၁.၉
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၁၂.၉	၇.၃	၁၂.၇	၆.၅	၁၂.၅	၅.၅	၁၂.၁	၅.၃	၁၁.၉	၄.၆	၁၁.၇	၄.၀	၁၁.၆	၃.၂
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၁၁.၇	၈.၀	၁၁.၆	၇.၂	၁၀.၃	၆.၆	၁၁.၀	၆.၀	၁၀.၈	၅.၃	၁၀.၆	၄.၆	၁၀.၅	၃.၂
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၁၀.၆	၈.၆	၁၀.၄	၇.၉	၁၁.၁	၇.၃	၁၀.၉	၆.၆	၉.၇	၅.၉	၉.၅	၅.၈	၉.၄	၄.၆
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၉.၅	၉.၃	၉.၃	၈.၆	၉.၁	၇.၉	၈.၈	၇.၈	၈.၆	၆.၆	၈.၄	၅.၉	၈.၃	၅.၂
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၈.၄	၁၀.၀	၉.၂	၉.၂	၈.၀	၈.၅	၇.၇	၈.၀	၇.၅	၇.၃	၇.၃	၆.၆	၇.၂	၈.၁
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၇.၃	၁၀.၆	၇.၁	၉.၉	၉.၉	၉.၂	၈.၆	၈.၆	၇.၅	၇.၃	၇.၃	၆.၄	၇.၁	၅.၂
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၇.၃	၁၀.၆	၇.၁	၉.၉	၉.၉	၉.၂	၈.၆	၈.၆	၈.၄	၇.၃	၇.၃	၆.၄	၇.၁	၅.၅
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၆.၂	၁၁.၃	၆.၀	၁၀.၆	၅.၈	၉.၉	၅.၅	၅.၃	၅.၃	၅.၃	၅.၁	၅.၁	၅.၁	၅.၅
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၅.၁	၁၂.၀	၄.၉	၁၁.၂	၄.၇	၁၀.၆	၄.၄	၁၀.၀	၄.၂	၉.၂	၄.၀	၉.၁	၄.၀	၄.၅
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၄.၀	၁၂.၆	၃.၈	၁၁.၉	၃.၆	၁၁.၃	၃.၅	၁၀.၆	၃.၁	၉.၉	၃.၀	၉.၂	၃.၀	၃.၇
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၂.၉	၁၃.၃	၂.၇	၁၂.၅	၂.၅	၁၁.၉	၂.၂	၁၁.၃	၂.၀	၁၀.၄	၁.၉	၁၁.၂	၁.၈	၁၂.၅
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၁.၈	၁၃.၉	၁.၆	၁၃.၂	၁.၄	၁၂.၅	၁.၁	၁၂.၀	၁.၁	၁၂.၀	၁.၀	၁၀.၅	၀.၇	၉.၈
ပြည်ထဲရေး ရွားခွဲ	၀.၅	၁၄.၈	၀.၄	၁၃.၉	၀.၃	၁၃.၂	၀.၀	၁၁.၈	၀.၀	၁၁.၈	၀.၀	၁၁.၈	၀.၀	၁၀.၂

პროლინს შეიცავს, მაშინ როდესაც ჭავჭავაძე მონაწილეობით გარეშე სახაროზას დაღუღების შედეგად მიღებულ ღვინოში პროლინი სრულებით არ არის. ყურძნის წვენით საქმაოდ შესველებულ ჭავჭავაძე დაღუღებული სახაროზას ხსნარი კი არა-სოდეს 200 მგ/ლ-ზე მეტ პროლინს არ შეიცავს. საზღვრავენ ღვინოში პროლინს და მისი რაოდენობის მიხედვით ღვინის ნატურალობას აღვენენ.

საჭირო რეაქტივები: 1. ნინგიდრინის 3%-იანი წყალსნარი; 2. 2n მარილმჟავა; 3. ბენზოლი (ქიმიურად სუფთა); 4. ჭიანჭველმჟავა (ქიმიურად სუფთა).

განსაზღვრა. 10 მლ-იან სინჯარაში ათავსებენ მიკ-რობიტეტით ზუსტად აღებულ 0,5 მლ საკვლევ ღვინოს, უმატებენ 3 წვეთ 2n მარილმჟავას, 0, 5 მლ 3%-იან ნინგიდრინს, 3 წვეთ ჭიანჭველმჟავას; სინჯარას დგამენ მაღულარწყლიან ჭიქაში. და ტოვებენ 15 წუთს, მერე უმატებენ კიღვე 3 წვეთ ჭიანჭველმჟავას და აცივებენ ოთახის ტემპერატურამდე. ამის შემდეგ უმატებენ ზუსტად 5 მლ ბენზოლს და 1 წუთის განმავლობაში მაგრად ანჯლრევენ. 5—10 წუთით აცენტრიფუგირებენ (3000 ბრ/წ). შეფერილი ბენზოლი გადააჭვთ ფოტოელექტროკოლორიმეტრის ჭიქაში, რომლის ფენის სისქე 5 მმ-ია. კოლორიმეტრირების აწარმოებენ ფოტოელექტროკოლორიმეტრზე მწვანე ფილტრის საშუალებით. იღებენ ექსტრინეციას და შესაბამის პროლინს არკვევენ მე-2 ცხრილის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როცა პროლინი 200 მგ/ლ-ს არ აღემატება, ღვინო ფალსი-ფიცირებულია.


პროლიტის საძიებელი ცხრილი

వ్యవస్థలు	పరిమాణం	బిల్లు	పరిమాణం	బిల్లు	పరిమాణం	బిల్లు	పరిమాణం	బిల్లు
0,06	20	40	0,21	96	192	0,36	186	372
0,07	25	50	0,22	102	204	0,37	192	384
0,08	30	60	0,28	108	216	0,38	198	396
0,09	35	70	0,24	114	228	0,39	204	408
0,10	40	80	0,25	120	240	0,40	210	420
0,11	45	90	0,26	126	252	0,41	216	432
0,12	50	100	0,27	132	264	0,42	222	444
0,13	55	110	0,28	138	274	0,43	229	458
0,14	60	120	0,29	144	288	0,44	236	472
0,15	65	130	0,30	150	300	0,45	243	486
0,16	70	140	0,31	156	312	0,46	250	500
0,17	75	150	0,32	162	324	0,47	257	514
0,18	80	160	0,33	168	336	0,48	264	528
0,19	85	170	0,34	174	348	0,49	272	544
0,20	90	180	0,35	180	360	0,50	280	560

სსენალი შავგბაზის განსაზღვრა პურაქის პროცესორებზე პოლიაროგიზაციული გეთოლით



უმით) განდევნიან უანგბალს და ჩაიხაიშერენ ნაოჩენ წლენს უანგბალით და / კვლევ ამის შემდეგ ხსნარის აჯერებენ ჰაერის უანგბალით და / კვლევ ჩაიშერენ ზღვრულ დენს (I₃). მიღებულ სიჭიდეებს სვამენ გ ნტოლებაში და ანგარიშობენ უანგბალის რაოდენობას საკვლევ ნიმუშში.



ნახ. 1.

- ელექტროლიტური კაბერა:
1. ოქროს ნების ($0,5 \times 15$ მმ);
 2. ვერცხლის ფირფიტა 15 სმ;
 3. თერმომეტრი;
 4. ჭყალის პერანგი;
 5. ონკანი ნიმუშის შესაყვანად;
 6. შუშის მილი ნიმუშის გადასაღენად დამცველი ჰალონით;
 7. მინის კაბილარი ინერტული გაზის შესაშენიდ;
 8. რეზინის საცობი ჰერმეტულიბის დასაცავად და ელექტროლების თერმომეტრის დასამაგრებლად.

რეაქტორები და ა პარამეტრები: 1. ელექტროლიტის ქლორიდის ნაჯერი ხსნარი (ქიმიურად სუფთა); 2. ინერტული გაზი ბალონით (უმჯობესია ჰელიუმი, შეიძლება გამოყენებული იქნეს აზოტიც, თუ ის 5%-ზე მეტ უანგბალს არ შეიცავს და გასუფთავებული იქნება პიროგალოლის ტუტე ხსნარში წინასწარი გატერებით). 3. ნებისმიერი კონსტრუქციის პოლიაროგრაფი თვით ჩამწერით; 4. საანალიზო ნიმუშის ასაღები ბოთლი ან კულა, რომელსაც დაცობილი აქვს საცობი და მასში ჩაშვებულია ორი მოხრილი მილი; აქედან ერთი მათგანი კულის ფსკერამდე ჩადის, მეორე კი საცობის ქვედა პირადე. მოხრილი შუშის მილებს მეორე ბოთლზე წამოტმული აქვს რეზინის მიღები მომჭერით.

5. ლაბორატორიული ელექტროტუმბო უანგბადის მისაწმდებლების
ლად. 6. ელექტროლიზური კამერა.

განსაზღვრა. სინჯს ცლებენ ნიმუშის ასაღები ბოთ-
ლით ან კულით, ოისთვისაც გრძელი მილის მომჭერს ხსნიან
და უერთებენ საკვლევ ხსნარში (კასრში, ბუტში, ცისტერ-
ნაში) ჩაშვებულ რეზინის მილს, ხსნიან პატარა მილის
მომჭერს და აწარმოებენ სითხის ამოქაჩას. საკვლევი
ნიმუში შედრს კულაში ფსკერამდე ჩაშვებული მილით და
გადმოდის მოკლე მილიდან. ორი მოცულობა სითხის გავლის
შემდეგ სისტემაში მყოფი ჰაერის უანგბადი გამოიდევნება,
შემდეგ ორივე მომჭერს კეტავენ.

ელექტროლიზურ კამერაში ნიმუშის შესაყვანად მოკლე
მილს უერთებენ კამერის მე-5 ონჯანს (ნახ. 1), კულას გადმო-
აპირევავებენ და მე-5 ონჯანს და ორივე მილის მომჭერს ხსნი-
ან, კულას სწევენ მაღლა, რომ ნიმუში თვითდენით შევიდეს
კამერაში და მე-6 მილის საშუალებით გადმოედინოს. ორი
მოცულობა საანალიზო სითხის გადმოსვლის შემდეგ კე-
ტავენ მე-5 ონჯანს და კულის ორივე მომჭერს (კამერაში არ
უნდა დარჩეს არც ერთი ჰაერის ბურთული). ამის შემდეგ
იწყებენ პოლიაროგრაფირებას, რისთვისაც პირველად შეარ-
ჩევენ 0.0—0.8 ვ ფარგლებში აპარატის ისეთ მკრძნობელო-
ბას, რომელიც ყველაზე უკეთესად გამოსახავს პოლიაროგრა-
ფიულ ტალღას. იწერენ პოლიაროგრამით საცდელი ნიმუშის
ზღვრული დენის სიღიდეს (I₁). ხსნიან მე-5 ონჯანს, უშვებენ
რამდენიმე მლ ნიმუშს, ისე რომ, ელექტროდები რჩებოდეს
სითხეში და მიწოდებულმა გაზმა შეძლოს სითხეში გავლა.
სითხიდან უახგბადის გამოსაღევნად მე-7 კაბილარიზან წვრი-
ლი ბურთულების ნაკადით ატარებენ ინერტულ გაზს 20—25



წუთის განმავლობაში, ზომავენ პოლიაროგრაფით ნარჩენ დაფიქტურა (I₁), შემდევ ნიმუშის უანგბადით გასაჯერებლად ივივე მე-7 კაპილარით (ელექტროტუმბოთი) 20—25 წუთით აწოდებენ ჰაერს წვრილი ბურთულების ნაკადით. იწერენ პოლიაროგრამას და საზღვრავენ ზღვრულ ფენს (I₃).

გახსნილი უანგბადის რაოდენობას ნიმუშში ანგარიშობენ შემდეგი განტოლებით

$$[\text{O}_2] = R \cdot \frac{I_1 - I_2}{I_3 - I_2}$$

$[O_2]$ არის გახსნილი უანგბადის რაოდენობა მგ/ლ

R — უანგბადის მაქსიმალური ხსნადობა ცაანალიზო ობიექტისათვის მგ/ლ

I₁, I₂ და I₃ — დენის ძალა (პოლიაროგრაფიული ტალღის სიმაღლე მმ) შესაბამისად, ნიმუშში (I₁) ხსნარიდან უანგბადის განდევნის შემდეგ (I₂) და უანგბადით გაჯერების შემდევ (I₃). უანგბადის ხსნადობის მაქსიმუმი (R) სხვადასხვა ობიექტისათვის მოცემულია მე-3, მე-4 და მე-5 ცხრილებში.

მეთოდის ცდომილება ღვინოებსა და წვენებში უდრის $\pm 0,3$ მგ/ლ, კონიაკის სპირტებსა და კონიაკებში $\pm 5-7\%$ -ს უანგბადის აბსოლუტური რაოდენობიდან.

მაგალითი. საკვლევ აბიექტად აღებული იყო ახლად გამოხდილი კონიაკის სპირტი. განსაზღვრულ იქნა პოლიაროგრაფზე I₁, I₂ და I₃, რომლებიც შესაბამისად ტოლი იყო 22, 3 და 32 მმ. განსაზღვრა ჩატარდა 20°-ზე. მე-5 ცხრილის მიხედვით: R=17,7 მილებული მნიშვნელობა ჩასვეს ფორმულაში

$$[O_2] = 17,7 \times \frac{22-3}{32-3} = 11,6 \text{ მგ/ლ}$$

ცხრილი 3

შავერის ფანგბალის მაქსიმალური ხსნადობა წევენებში
მის ხვედრით წონასთან დაკავშირებით 20°C -ზე

ხვედრითი წონა	ხსნადობა მგ/ლ
1,010	8,9
1,020	8,4
1,030	8,1
1,040	7,7
1,050	7,3
1,060	6,9
1,070	6,5
1,080	6,2
1,090	5,9
1,100	5,5

ცხრილი 4

შავერის ფანგბალის მაქსიმალური ხსნადობა სხვადასხვა
დფინიცებში 20°C ნორმალური წნევის პირობებში

დფინის ტიპი	შემთხვევა ნორმი		ხსნადი გბალი მგ/ლ
	სპირტი %	შავერი %	
მშრალი	10,0	—	7,5
ნახევრად მშრალი	10,0	3,0	7,0
ტებილი	16,0	8,0	6,6
მაგარი	20,0	3,0	6,8
ტებილი	16,0	16,0	5,6
მაგარი	18,0	10,0	6,0

ც ხ რ ი ლ ი ს ქ

ფანგბადის მაქსიმალური ხანადობა სპარტა და კონიაკში


საქალევი ნიმუში	შემადგენლობა		სსნაღობა მგ/ლ სხვადასხვა ტემპარატურაზე				
	სპარტი %	ექსტრაქ- ტი გ/ლ	0°	10°	20°	30°	40°
კონიაკის სპარტი							
ახლად გამოხდილი	62,2	—	19,1	18,2	17,7	16,5	14,6
ერთწლიანი	64,5	0,41	20,0	19,2	18,5	17,4	15,8
სამწლიანი	66,4	0,48	21,0	—	18,7	—	15,9
ხუთწლიანი	61,6	0,58	18,0	17,3	15,0	14,1	12,7
შვეიცვლიანი	57,9	2,98	16,4	15,3	13,5	12,6	11,3
ოთწლიანი	59,9	2,06	13,1	—	11,5	—	—
ვაშლის სპარტი							
ახლად გამოხდილი	66,2	—	—	—	17,9	—	—
სამწლიანი	63,4	1,73	—	—	16,2	—	—
ქლიავის სპარტი							
ახლად გამოხდილი	65,9	—	—	—	17,1	—	—
სამწლიანი	60,2	2,50	—	—	16,0	—	—
კონიაკი	40,1	17,9	—	—	8,0	—	—
კონიაკი	42,0	14,8	—	—	8,0	—	—
კონიაკი	44,5	14,4	—	—	9,5	—	—

ველაციიდინების განსაზღვრა კონიაკის სპარტიზი
 (დამუშავებულია ა. ლაშვილისა და მ. შეანგირაძის მიერ)

პრინციპი. ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები — მელანოიდინები, ამცირებენ ფონის ფანგბადის მაქსიმუმს. კონიაკის სპარტიდან მელანოინებს გამოყოფენ სეფადექს

G-75 სვეტის საშუალებით, პოლიაროგრაფიული მეთოდით საზღვრავენ ფონისა და ნიმუში-დან გამოყოფილი მელანოიდური ფრაქციის უანგბადის მაქსიმუმს, სხვაობით ითვლიან უანგბადის მაქსიმუმის დაწევას მილიმეტრობით და შესაბამის მელანოიდინების რაოდენობას ნახულობენ ცხრილში.

რეაქტირები: 1. სეფა-დექსი G-75. 15×300 მმ-იან სვეტზე (ნახ. 2) გადააქვთ $40-43^\circ$ -იან სპირტში გაჯირ-ჯვებული სეფადექსი G=75, წვეთების სიჩქარის სტაბილი-ზაციის შემდევ (საშუალოდ $10-12$ წვეთი წუთში) რეც-ხავენ სვეტს ლაბორატორიაში გასუფთავებული რექტიფიცი-რებული $40-43^\circ$ -იანი სპირ-ტით 5—6 საათს და შემ-დევ გადააქვთ საანალიზო ნი-მუში. 2. 0,02 M ამონიუმის ქლორიდი (კანსაკუთრებული სუფთა). 3. $40-43^\circ$ -იანი რექტ-იფიცირებული მეთოლის სპირ-ტი, გასუფთავებული, ლაბო-რატორიაში გამოხდით.



ნახ. 2. სვეტი სეფადექ-სისათვეს

1. მინის ჭამბის ფენა, 2. მინის ფირფიტა ნაწერებული, 3. სეფა-დექსის ლონგ სპეციში.



გინეს საზღვრა. 50 მლ საანალიზო კონიაკის სპირტით აორთქლებენ ვაკუუმექსიკატორში ოთახის ტემპერატურაზე. მიღებულ ექსტრაქტს ხსნიან $40-43^{\circ}$ -იან რექტიფიცირებულ სპირტში და ამ სპირტითვე მიჰყავთ 10 მლ-მდე. ცენტრითუ- გირებით აშორებენ ნალექს. 2 მლ ხსნარი გადააქვთ სეფადექ- სის სვეტზე ფრაქციონირებისათვის. სვეტს რეცხვენ ორჯერ, ორ-ორი მლ $40-43^{\circ}$ -იანი რექტიფიცირებული სპირტით და შემდეგ ელუაციას ახდენენ იგრვე სპირტით. პირველ ჭუთ მიღლილიტრს, რომელიც არ შეიცავს მელანოიდინებს, აშორე- ბენ. შემდეგ 17 მლ-ს, რომელიც არ შეიცავს სხვა კომპო- ნენტებს მელანოიდინების გარდა, იყენებენ ანალიზისათვის.

შელანიოდინების გამოსვლამ პირობების შეცვლით შეიძლება გადა- ნაცვლოს სხვა ფრაქციებში. ასეთ შემთხვევაში ახალიზის შემსრულებელს დასჭირობა ქალალდა, ქრომატოგრაფიით დაადგინოს სუფთა მელანოიდი- ნების გამოსვლის დღიული თავისი სვეტისათვის.

15 მლ 0,02 M ამონიუმის ქლორიდს (NH_4Cl) უმატებენ 1 მლ $40-43^{\circ}$ -იან სუფთა ეთილის სპირტს და პოლიარო- გრაფზე საზღვრავენ უანგბადის მაქსიმუმს. ამის შემდეგ ანა- ლიზისათვის მომზადებული ხსნარიდან იღებენ 1 მლ-ს, უმატე- ბენ 15 მლ ამონიუმის ქლორიდს და საზღვრავენ უანგბადის მაქსიმუმს. სხვაობით ითვლიან საკვლევი ხსნარის მიერ უან- გბადის მაქსიმუმის დაწევის მმ-ობით. შესაბამისი მელანოიდი- ნების რაოდენობას პოულობენ მე-6 ცხრილში მგ/ლ-ობით.

ზემოთ აღწერილი მეთოდით განისაზღვრა მელანოიდი- ნების ოაოდენობა $1-30$ -წლიან საკონიაკე სპირტებში და იგი $10-30$ მგ/ლ-მდე მერყეობდა.

ახლად გამოხდილ სპირტში მელანოიდინები სრულიად არ არის, დაძველების $10-15$ წელს საგრძნობლად იზოდება, ხოლო შემდეგ კი შედარებით ნელა.



შელანოდინების ხაძიებელი ცხრილი უანგბადის მაქსიმუმის
დაწევის მიხედვით

მაქსიმუმის დაწევა მმ-ობით	შელანოდინე- ბის რაოდე- ნობა მგ/ლ	მაქსიმუმის დაწევა მმ-ობით	შელანოდინე- ბის რაოდე- ნობა მგ/ლ	მაქსიმუმის დაწევა მმ-ობით	შელანოდი- ნების რაოდე- ნობა მგ/ლ
3	5,0	20	23,0	37	40,3
4	5,8	21	24,3	38	51,3
5	6,7	22	25,6	39	53,5
6	7,6	23	26,9	40	55,7
7	8,5	24	28,3	41	58,1
8	9,5	25	29,7	42	60,5
9	10,5	26	31,1	43	63,1
10	11,5	27	32,5	44	65,7
11	12,5	28	34,0	45	68,4
12	13,6	29	35,5	46	71,4
13	14,7	30	37,0	47	74,5
14	15,8	31	38,5	48	77,6
15	16,9	32	40,2	49	80,7
16	18,1	33	41,9	50	83,8
17	19,3	34	43,6	51	86,9
18	21,5	35	45,4	52	89,8
19	21,7	36	47,3		

კარბონილური ნაერთების სამართლო რაოდენობის
განსახლება პონიაკის სპილეოზი

(კონფერენციალური სპირტისათვის დამუშავე ა. ლაშემა და ც. ყანდარელმა)

პრინციპი. კარბონილური ნაერთები გადაჰყავთ 2,4-დინიტროფენილპიდრაზონში, ფილტრავენ, აშრობენ და წონიან. პიდრაზინის რაოდენობას სპექტროფოტომეტრულად საზღვრავენ რეაქციაში შესვლამდე და რეაქციის შემდეგ და სხვაობით ანგარიშობენ კარბონილურ ნაერთებთან შეერთებულ პიდრა-


ზინს, რომელსაც საერთო წონიდან იქლებენ და ლებულობენ სუფთა კარბონილურ ნაერთებს.

საჭირო რეაქტივები: 1.2,4-დინიტროფენილჰიდრაზინის ნაჯერი ხსნარი 2n HCl-ში (0,4%); 2. 2n HCl; 3. ეთოლაცეტატი.

განსაზღვრა. 100 მლ-იან კონუსურ კულაში ათავსებენ 20 მლ საკონიაკე სპირტს და უმატებენ 20 მლ 2,4-დინიტროფენილჰიდრაზინის ესნარს. პარალელურად იღებენ საკონტროლოს, სადც საანალიზო ნიმუში შეცვლილია წყლით. ორივე ნიმუშს დგამენ მაცივარში; მეორე დღეს ფილტრავენ №3 ან №4 გუჩის ფილტრში და აშჩობენ მუდმივ წონამდე. შემდეგ ჰიდრაზინიან ფილტრს დღივანენ საზომ ცილინდრს და ჰიდრაზონის ესნად ფრაქციას გამოწვლილავენ ეთილაცეტატით. ელუატის რაოდენობას იწერენ.

2,4-დინიტროფენილპიდრაზინის, ფილტრატისა და კონიაკის სპირტის ოპტიკური სიმკვრივის განსაზღვრისათვის იყენებენ 25 მლ-იან საზომ კულებს; ერთში ათავსებენ 0,1 მლ 2,4-დინიტროფენილპიდრაზინის ხსნარს, მეორეში 0,1 მლ ფილტრატს, მესამეში 0,1 მლ კონიაკის საანალიზო ნიმუშს, ხოლო მეოთხე კულას ტოვებენ საკონტროლოდ. თითოეულს უმატებენ 10 — 10 მლ 2n HCl, ავსებენ ნიშანხაზამდე წყლით და კარგად აურევენ.

ნიმუშები თანმიმდევრობით გადააქვთ 10 მმ კიუვეტაში და ოპტიკურ სიმკვრიფეს ზომავენ სპექტროფოტომეტრ CФ—4-ით 320 მილიმიკრონის სიგრძის ტალღაზე. მიღებული ექსტრინქციის შესაბამის 2,4-დინიტროფენილჰიდრაზინის რაოდენობას ნახულობენ მრუდზე (ნახ. 3).



ნახ. 3. 2,4-დინიტროფენილპიდრაზინის საძიებელი მრული

გამოანგარიშება. დავუშვათ, რომ 0,1 მლ 2,4-დინიტროფენილპილრაზინის ოპტიკური სიმკვრივე არის 0,700, რომელსაც მრუდზე შეესაბამება 390 γ ჰიდრაზინი; აეფან საანალიზო ნიმუშს დამატებულ 20 მლ რეაქტორში ჰიდრაზინი

2. •. ପ୍ରାଦିତ



იქნება 200-ჯერ მეტი, ე. ი. 78000 გ. ვთქვათ, 0,1 მლ საანალიზო კონიაკის სპირტის ოპტიკური სიმკვრივე აღმოჩნდა 0,040, ხოლო საანალიზოდ აიღეს 20 მლ კონიაკის სპირტს დამატებული 20 მლ 2,4-დინიტროფენილჰიდრაზინის რეაქტივი და ნარევი (1:1) გაფილტრეს, მაშინ სუფთა კონიაკის სპირტის ოპტიკური სიმკვრივე ფილტრატში იქნება 2-ჯერ ნაკლები, ე. ი. 0,020.

დავუშვათ, რომ ჰიდრაზინიანი ფილტრატის ოპტიკური სიმკვრივე აღმოჩნდა 0,150, თუ გამოვაკლებთ მას კონიაკის სპირტის ოპტიკურ სიმკვრივეს (0,020), მივიღებთ 0,130, რომელსაც მრუდზე შეესაბამება 64 გ. თუ 0,1 მლ ფილტრატში აღმოჩნდა 64 გ ჰიდრაზინი, მაშინ 40 მლ-ში (20 მლ კონიაკის სპირტი და 20 მლ ჰიდრაზინი), იქნება 25600.

იმის დასადგენად თუ რა რაოდენობის 2,4-დინიტროფენილჰიდრაზინი შევიღა რეაქციაში კარბონილურ შენაერთებთან, საანალიზო ნიმუშზე დამატებულ რეაქტივს (78 000 გ) აკლებენ 2,4-დინიტროფენილჰიდრაზინის რაოდენობას. რომელიც აღმოჩენილი იყო ფილტრატში (25 600) და იღებენ რეაქციაში შესული ჰიდრაზინის რაოდენობას 52 400 გ ან 52,4 მგ.

მიღებული ჰიდრაზინი გაფილტრეს და გააშრეს მუდმივ წონამდე. ვთქვათ, მიღებულ იქნა 15,0559 გ. ფილტრი ეთილიცეტატით გამოწვლილეს და ფილტრის წონა ელუაციის შემდეგ აღმოჩნდა 15,0019 გ, მაშინ კარბონილური ნაერთების ჰიდრაზონების რაოდენობა ყოფილა 15,0559—15,0019 = 0,0540 გ.


თავისუფალი კარბონილური ნაერთების გამოსაანგარიშებლად მის ჰიდრაზონს 54,0 მგ გამოაკლებენ ჰიდრაზინის

რაოდენობას 52,4 მგ და მიიღებენ 1,6 მგ კარბონილურ შენაერთებს 20 მლ კონიაქის სპირტში, ხოლო ლატრში იქნება 80,0 მგ.

შეროლავი კარბონილური ნაერთების განსაზღვრა რეაციული გაზური ჩროგაზოგრაფით

წივთხერებათა დაყოფისა და რაოდენობრივი განსაზღვრისათვის მიმართავენ გაზურ-სითხურ ქრომატოგრაფიას. ჩვენ შემთხვევაში აღებული იყო ჩეხერი ქრომატოგრაფი (xrom—2), რომელიც მუშაობს ალებად-იონნი-ზაციური დეტექტორის პრინციპზე და მოთხოვს როგორც საჭვავი მასალის, ისე მოძრავი ფაზის განსაკუთრებულ სისუფთავეს. უძრავ ფაზად ჰაბრტებისა და ეთერების დასაყოფად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტრიეთანოლამინი, ხოლო კარბონილური ნაერთების დასაყოფად უკეთეს შედეგს იძლევა წ-წ- ოქსიდიპროპიონიტრილი, ვიდრე პოლიეთილენგლიკოლი—1000. მოძრავ ფაზად ჰაბრტების დაყოფისათვის შეიძლება ჰელიუმის გამოყენება, რომლის სისუფთავე 99,9%-ს უდრის. ჰელიუმის გამოყენებით აპარატის მგრძნობელობა არ იძლეოდა მცირე რაოდენობის კარბონილური ნაერთების აღმოჩენის საშუალებას. აზოტი კი უფრო მეტ მინარევებს შეიცავს, მისი გასუფთავებაც ჯერ მაღალ ტემპერატურაზე დამუშავებით და შედეგ მინუს 170°-მდე გაცივებით ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგს. უკეთესი შედეგი აქვს წყალბადის გენერატორს (CGC—2), რომელიც აქამდე განკუთვნილი იყო მხოლოდ საჭვავი წყალბადის მისაღებად და პირველად ც. ყანდარელმა და ა. ხარჩენკომ გენერატორიდან მიღებული წყალბადის ნაკადი გაყვეს ორად, ერთი გაუშვეს ალის მკვებავ არხში, მეორე კი აპარატის სუეტში როგორც მოძრავი ფაზა. ამ მოდიფიკაციამ მეთოდი ტექნიკურად გამარტივია, გამორიცხა როგორც ჰელიუმი, ისე აზოტი, დაკმაყოფილდა მხოლოდ წყალბადის ნაკადით და გაზარდა აპარატის მგრძნობელობა. მაგალითად: მუდმივი ფონის სიღილე მგრძნობელობის სკალაზე ჰელიუმის ან აზოტის გამოყენებით იყო 0,3—0,4, მგრძნობელობა კი 1/100. წყალბადის გენერატორის გამოყენების დროს ფონის სიღილე

მგრძნობელობის სკალაზე, დადის 0,1—0,2 და მგრძნობელობა კი 1/10 აუტოვალუმ
ფონს სიღიდე 102 მცირდება და საშუალებას იძლევა აპარატმა იშუჭილობულ
მაქსიმალური მგრძნობელობის გამოყენებით, ალმოაჩინოს და განსაზღვროს
ერთი კომპონენტის მაგივრად 12 კომპონენტი.



ნახ. 4. რევენერატორი
 1. ნემით, 2. მომქერი ქურო, 3.
 მშრუნვავი დოლი, 4. მინის კა-
 ბილარი, 5. რეაქციული ცილინ-
 დრი, რომელიც მთავრდება მო-
 ხრილი კაბილარით. ცილინდ-
 რის მეორე ბოლო ლია და
 რეაქციული ნარევს შეტანის
 შემდეგ ირჩილება, 6. შემამჭიდ-
 როვებელი რეზინი.


მეთოდის პრინციპი. სპე-
 ციალურ რევენერატორში (ნახ. 4.)
 α-კეტოგლუტარმჟავის დახმარე-
 ბით ახდენენ კარბონილური ნა-
 ერთების რევენერაციას და გაზურ-
 სითხური ქრომატოგრაფიით საზღ-
 ვრავენ ცალკეულ მქონლავ კომ-
 პონენტებს.

რეაქტივები. 1. α-კეტო-
 გლუტარმჟავა, 2. ცელიტ-545.
 3. ნატრიუმის ბიქარბონატი.

აპარატურა. გაზური ქრო-
 მატოგრაფი ხრომ-2, ალებადი იო-
 ნიზაციური დეტექტორით. სვეტი
 უჟნგვავი ფოლადისაგან დამზადე-
 ბული, სიგრძე 2 მეტრი, წმიგნითა
 დიამეტრი 0,4 სმ. მოძრავ ფაზად
 გამოყენებულია წყალბადი, რომ-
 ლის წნევა სვეტში შესვლისას
 0,02 კგ/სმ²-ია, ტემპერატურა
 30°C, მგრძნობელობა — 1/10. ად-
 სორბენტი ხრომოსორბი W, რო-
 მელზედაც შეტანილია β-β-ოქ-
 სიდიპროპიონიტრილი. ცალკეუ-
 ლი ალდეპიდების ჰიდრაზონების



გამოსვლის დრო დადგენილია ცნობილი ალღეპიდების ჰიდროგეოლოგიური შონებით და ინდივიდუალური კომპონენტების რაოდენობრივი განსაზღვრისათვის შედგენილია სამუშაო მრუდი (ნახ. 5—6).




გ. 1923 წლის მიხარული მარტინ გ. მ.

ნახ. 5. მრუდი აცეტალღეპიდის განსაზღვრისათვის

გ ა ნ ს ა ზ ღ რ ა. ქრომატოგრაფიისათვის საჭიროა 1—2 მლ ეთილაცეტატის ელუატი, რომელიც გადააქვთ პარა ტიგელში და ტოვებენ მეორე დღემდე. მიღებულ ექსტრაქტს ემატება α-კეტოკლუტარმეტავა (შეფარდებით 1:3), ათავსებენ რეაქციულ ცილინდრში, საღაც უმატებენ დაახლოებით 1 მვ ცელიტ-545-და 5მვ-მდე ნატრიუმის ბიკარბონატს და მიღს მირჩილავენ. რეაქციული მიღი კაპილარული ბოლო-

თი შეაქვთ სპეციალურ ნემსში (ნახ. 4). ზედმეტ კაბილურობით
სტრანგერ მახვილი კუთხის გასწვრივ და ნემსის საშუალებით




ნახ. 6. შრუდი ზოგიერთი კარბონილების განსაზღვრისათვეს
1. აფეტონი 2. მეთილეთოლეკტონი, 3. იზოერბომეტავალდეპილი,
4. პროპიონმეტავალდეპილი, 5. იზოვალერიანმეტავალდეპილი

გადააქვთ აპარატში, შემდეგ რეაქციულ მილს 10 წამის გან-
მავლობაში ათავსებენ გლიცერინის აბაზანაში, რომლის ტემ-
პერატურაც 250° -ია. გაცენელების შედეგად რეაქციულ მილში მიმდინარეობს ჰიდრაზონის დაშლა. NaHCO_3 -ის გაცენელებით წარმოშობილი CO_2 -ის ნაკადით განთავისუფლებული მქრო-

მარტინ გურევი

ლავი კარბონილუო ნაერთები გადადიან ქრომატოგრაფიული საფუძველი და ნაწილდებიან აღსორბენტზე. მოძრავი ფაზის დახმარებით თითოეული ნაერთი თანმიმდევრობით გადაეცემა დეტაქტორს და ქრომატოგრამაზე იღირიცხება ჩამონა (ნახ. 7).



ნახ. 7. ქრომატოგრამა

1. ჰმარმჟავაალდეპილი, 2. უცნობი, 3. პროპიონმჟავაალდეპილი,
4. იზოერბომჟავაალდეპილი, 5. აცეტონი, 6. ერბომჟავაალდეპილი,
7. ინოვილერიამმჟავაალდეპილი, 8. მეთილეთილკეტონი, 9—უცნობი,
10. ვალერიანმჟავაალდეპილი, 11. უცნობი, 12. უცნობი.

მაგალითი. ვთქვათ, ეთილაცეტატის ელექტრის რაოდენობა იყო 20 მლ, ხოლო ელექტრი ჰიდრაზინის — 54,0 მგ, მაშინ ერთ მილილიტრში იქნება 2,7 მგ.

დავუშვათ, რომ ქრომატოგრაფირებისათვის აღებული 1 მლ ელუატი, მაშინ აღებული ნიმუშში იქნება 2,7 მგ ჰიდრაზონი; ქრომატოგრაფირების შემდეგ მიღებული აცეტალდეპიდის ფართობი აღმოჩნდა 350 მმ², რომელსაც მრულზე შეესაბამება 40 გ აცეტალდეპიდი. თუ 1 მლ ელუატი შეიცავს 40 გ აცეტალდეპიდს, მაშინ 20 მლ ელუატში იქნება 800 გ აცეტალდეპიდი. აღნიშნული ელუატი მიღებულია 20 მლ კონიაკის სპირტიდან, ლიტრში კი იქნება 50-ჯერ მეტი, ე. ი. 40000 გ, ანუ 40,0 მგ აცეტალდეპიდი. ანალოგიურად გამოითვლება დანარჩენი ალდეპიდებიც.

ამ მეთოდით რაოდენობრივად განისაზღვრება შემდეგი ალდეპიდები: ძმრის, პროპიონის, იზოერბოს, ერბოს, იზოგალერიანის, ვალერიანის. კეტონებიდან — აცეტონი და მეთილეთილკეტონი.

ქრომატოგრამაზე მათი გამოსვლის დრო ნაჩვენებია

ცხრილი 7

კარბონილური ნაერთების გამოსვლის დრო ქრომატოგრამაზე

კარბონილური ნაერთების ჰიდრაზონები	პირის გამოსვლის დრო წუთობით
აცეტალდეპიდი	5,0
პროპიონისებაალდეპიდი	6,8
იზოერბონებაალდეპიდი	7,7
აცეტონი	8,2
ერბონებაალდეპიდი	10,4
იზოვალერიანისებაალდეპიდი	13,1
მეთილეთილკეტონი	14,0
ვალერიანისებაალდეპიდი	17,0

კარბონილური ნაერთების რაოდენობრივი განსაზღვრის შედეგები
 სხვადასხვა წლოვანების კონიაკის სპირტში

საინტერანებო წლოვანების მეცნიერების გენერაციის მდგრადი	სარბონილური ნაერთების კოდი	მისამართებულებების კოდი	პრინციპური აღმოჩენის აღმოჩენი	მცტონი მდგრადი	ერთობებისას კოდი	მტკიცებულების მდგრადი	მცტონი მდგრადი	განვითარებული მდგრადი
1	80,0	50,0	5,0	0	7,0	5,0	0	0
3	350,0	110,0	24,0	2,04	43,2	10,0	1,8	ნაშნები
5	300,0	54,0	30,0	4,6	45,0	8,0	2,0	0
10	550,0	300,0	19,2	19,4	104,0	11,8	3,6	ნაშნები
15	500,0	248,0	24,0	5,4	74,0	11,0	4,8	0
25	500,0	206,0	36,0	5,8	66,0	12,0	6,4	0
30	512,0	254,0	46,0	16,0	125,0	24,0	11,6	ნაშნები
35	48,0	194,0	12,0	0	65,0	7,8	3,8	0
45	520,0	212,0	38,4	3,4	76,0	20,6	9,6	0
50	560,0	188,0	36,0	14,0	116,0	17,4	5,8	0
60	520,0	107,4	4,8	4,4	36,5	6,6	4,0	0

მე-7 ცხრილში, ხოლო განსაზღვრის შედეგები სხვადასხვა წლოვანების სპირტებისათვის კი მე-8 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, კარბონილური ნაერთები ძლიერ მატულობს პირველ 10 წელიწადში. შემდეგ წლებში კი კანონზომიერი ცვალებადობა იღარ შეიმჩნევა, რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ კარბონილური ნაერთების ახლად წარმოშობას თან სდევს მათი გარდაქმნაც. პირველ 10 წლამდე წარმოშობა სჭარბობს გარდაქმნას და შემდეგ კი ხან წარმოშობა და ხან გარდაქმნები.

pH, Eh, P_{CO_2} , P_{O_2} , ერთდროული განსაზღვრა დანიშნულებისას

და კონიაპის სპირტი

(დამუშავებულია. ლაშხის, ს. დოლიძისა და რ. კოლელიშვილის მიერ)

პრინციპი. pH, Eh და PCO_2 განსაზღვრა ხდება პოტენციომეტრული მეთოდით. საძიებელი ნივთიერების იონთა ჭრის განცხადების სისტემაში ცვლის ემპ-ს, რომელსაც აღრიცხავენ მათვის განკუთვნილ მაღალმიანი ვოლტმეტრებით.

PO_2 -ს საზღვრავენ ვოლტამპერმეტრული მეთოდით. ელექტროდებზე აწვდიან მაპოლიარიზებელ ძაბვის ($0,7 \text{ V}$). ელექტრული დენი, რომელიც პროპორციულია საძიებელ ნივთიერებაში უანგბადის რაოდენობისა, გადის ბალასტურ წინააღმდეგობაში. ძაბვის დაცემას უკანასკნელზე საზღვრავენ მაღალმიანი ვოლტმეტრით, რომლის სკალაც დაყალიბებულია PO_2 ერთეულებში მმ'-ობით.

pH და PCO_2 განსაზღვრისათვის გამჩომ ელექტროდად იყენებენ მინის ელექტროდს წყალბადის ფუნქციით, დამხმარე ელექტროდად კი ქლორვერცხლის ელექტროდს.

Eh-ის განსაზღვრისათვის გამჩომ ელექტროდად აღებული იქვთ მინის ელექტროდი ელექტრონული გამტარიანობით (თი—ო), დამხმარე ელექტროდად კი ქლორვერცხლის ელექტროდი.

Po_2 -ის განსაზღვრისათვის გამჩომ ელექტროდად ხმარო-

ბენ პლატინის ელექტროდს, ხოლო დამხმარე ელექტროდებულის
ვერცხლის ელექტროდს.

რეაქტივები და აპარატურა. 1. 3,2 და 4,8 pH-ს
ბუფერული ხსნარები. 0,2 M ნატრიუმის ფოსფატის მოსამ-
ზადებლად საჭიროა 71,634 g ორჩანაცვლებული ნატრიუმის
ფოსფატი ($\text{Na}_2\text{HPO}_4 \cdot 12\text{H}_2\text{O}$), რომელსაც ხსნიან ნახშირორუანგ
მოცილებულ წყალში და ავსებენ ლიტრამდე. 0,1 M ლიმონ-
მჟავის მოსამზადებლად კი იღებენ 21,008 g ლიმონმჟავას,
($\text{C}_6\text{H}_8\text{O}_7 \cdot \text{H}_2\text{O}$), მასაც ასევე ხსნიან CO_2 მოშორებულ გამოხდილ
წყალში და ლიტრამდე ავსებენ. 3,2 pH-იანი ბუფერული
ხსნარის მოსამზადებლად საჭიროა 49,4 მლ ნატრიუმის ფოს-
ფატი და 150,6 მლ ლიმონმჟავას ხსნარი ერთმანეთში აურიონ,
ხოლო 4,8 pH-იანი ხსნარის მოსამზადებლად პირველი ხსნა-
რის 98,6 მლ-ს დაუმატონ მეორე ხსნარის 101,4 მლ.

2. გაზური ნაზავი (ლითონის ბალონებში).
I ნაზავი შედგება 2,0% ჟანგბადისავან, რომელსაც დამატებუ-
ლი აქვს 10% ნახშირორუანგი და 88% აზოტი, II ნაზავში
შედის 20% ჟანგბადი, 2,0% ნახშირორუანგი, და 78%
აზოტი.

O_2 და CO_2 კონცენტრაციის დაზუსტება პირველად უმ-
ჯობესია გაზური ანალიზით BTU-2-ზე, შემდეგ შეიძლება
უკვე ცნობილი კონცენტრაციის მიხედვით განსაზღვრონ ახა-
ლი გაზური ნაზავის კონცენტრაცია.

3. აპარატი. pH, Eh, Pco_2 და Po_2 განსაზღვრისა-
თვის 4-პარამეტრიანი ხელსაწყო დამზადებულია ახსაბ-ს
მიერ.


განსაზღვრის ოპტიმალური ზღვრები: O_2 - თვის —
0,0 — 40 მგ/ლ; CO_2 -თვის — 0,0 — 1,0გ/ლ; pH — 3 — 5

საქართველო
კულტურული მუზეუმი


(კონიაკისათვის) — 2 — 4, ღვინისათვის — Eh — ± 500, ღვინისათვის —
ცდომილება: O_2 — 0,05 — 0,1 მგ/ლ; CO_2 — 0,1 მგ/ლ; pH — 0,02; Eh — 2,5 მ/ვ.

4. მე-9 ნახაზზე მოცემულია გამზომი ფოსო, ხოლო მე-10-ზე გადამწოდი.

5. И-1 — იმიტატორი ან ППТВ—1 პოტენციომეტრი.



ნახ. 8. ხელსაწყო pH, Eh, P_{CO_2} და P_{O_2} ერთდროული განსაზღვრისათვის. 1. სახელური ისრის მისაყვანად პირველი ბუფერული სსნარის PH-ზე (3,2); 2. სახელური ისრის მისაყვანად მეორე ბუფერული სსნარის PH-ზე (4,8); 3. სახელური ისრის ელექტრულ ნულზე მისაყვანად; 4. პოლიარობის შესაცვლელი გადამრთვევი. 5 და 6 უხეში და რბილი რეგულირების სახელურები ისრის მისაყვანად მეორე გაზური ნაზავის მნიშვნელობაზე. 7. სახელური ისრის მისაყვანად პირველი გაზური ნაზავის მნიშვნელობაზე. 8. სახელური ისრის მისაყვანად სკალის ბოლო დანაყოფზე (100), 9. სახელური ისრის მისაყვანად მეორე გაზური ნაზავის მნიშვნელობაზე; 10. სახელური ისრის მისაყვანად პირველი გაზური ნაზავის მნიშვნელობაზე.



ნახ. 9. გამზომი ფოსო

1. კორპუსი, 2. ელექტროდები, 3. გადამშოდი, 4 არხი, რომელშიც
გაღის საცდელი იმუში

დაყალიბება. P_{CO_2} -ის განსაზღვრისათვის ხელსაწყოს დაყალიბებას აწარმოებენ ორი ერთმანეთისაგან განსხვავა-
ვებული კონცენტრაციის ნაშირორეანგის ნაზავით. ნაშირო-
რეანგის პარციალურ წნევას ანგარიშობენ ფორმულით:

$$P_{CO_2} = \frac{P_{CO_2} - P_{H_2O}}{100} \cdot A \dots \dots \quad (1)$$

P_{CO_2} არის პარციალური წნევა მმ-ობით

P_{H_2O} — წყლის ნაჟერი ორთქლის წნევა მმ-ობით

P არ. — ბარომეტრული წნევა მმ-ობით

A — CO_2 რაოდენობა ნაზავში % - ისით




ვთქვთ, CO_2 -ირგველ ნაზავში დამტკიცებულია 10,0% და მეორე ნაზავში 2,0%, ბარომეტრული წნევა — 720 მმ, ტემპერატურა — 20°C , წყლის ნაჯერი ორთქლის წნევა — მე-9 ცხრილის მახსედვით 20°C -ზე იქნება 17,54 მმ. ჩავსათ ფორმულაში (1), მივღებთ I ნაზავისათვის

$$\frac{720 - 17,54}{100} \cdot 10 = 70 \text{ მმ}$$

$$\text{II ნაზავისათვის} \quad \frac{720 - 17,54}{100} \cdot 2 = 14 \text{ მმ}$$

ლვინისა და კონიაკის სპირტში CO_2 განსაზღვრას აწარმოებენ კომპენსაციური მეთოდით, სადაც მისთვის განკუთვნილი ხელსაწყო გამოყენებულია ნულოვან ინსტრუმენტიდ და ППТВ—I-თან ერთად მუშაობს.

გაძინო ფოსოში თანმიმდევრობით უშვებენ პირველ და მეორე გაზურ ნაზავს. ორივე შემთხვევაში ისრის გადახრა კომპენსირდება პოტენციომეტრის საშუალებით ნულის მნიშვნელობამდე. ითვლიან ე. მ. ძ. სიდიდეს მ/ვით და გადაქვთ — $E = \lg P_{\text{CO}_2}$ და მოკიდებულების გრაფიკის ორინატთა ლერძზე.



ნახ. 10. გადამშოდი


1. გადამშოდის კონტუსი, 2. მინის გამზომი ელექტროდი, 3. კაბინის ქსოვილი, 4. 0,005 M NaHCO_3 და 0,02 M NaCl ელექტროლიტური ხსნარი, 5. გაზგამტარი აუსკი, 6. რეზინის მომჭერი, 7. დამხმარე ქლორვერცლის ელექტროდი, 8. რეზინის ცობილი, 9. ქანჩი.



ପ୍ରାଣୀ ବାଜୁରାର ଉଚ୍ଚତାରେ ପ୍ରକାଶ ମାତ୍ରା ଓ ଅନୁକରଣ କ୍ରମରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ମହିଂଦ୍ରଙ୍ଗଠିତ

°C	P	°C	P	°C	P	°C	P
5	6.543	12	10.52	19	16.48	26	25.21
6	7.013	13	11.23	20	17.54	27	26.74
7	7.513	14	11.99	21	18.65	28	28.35
8	8.045	15	12.79	22	19.83	29	30.04
9	8.609	16	13.63	23	21.07	30	31.82
10	9.209	17	14.53	24	22.38	35	42.18
11	9.840	18	15.48	25	23.76	40	55.32

ସାନ୍ତାରାରିଶିତ ଫଲମୁଲାରେ (1) ସାଶ୍ଵାଲ୍ୟବିତ ମିଲ୍ୟବ୍ୟାଲ P_{CO_2} ,
ମିଳିଶ୍ଵେଲୋବ୍ୟାଲ୍ସ ଡଲନଗାରାନିତମ୍ବେଦ୍ୟ ଲାଗାଯାଇଥିବା ଏବଂ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ଲ୍ୟାନ୍ଡିଶ୍ଚ୍ଚେନ୍ସ୍ୟୁଲେବ୍ୟାଲ୍ସ ଏରିତମ୍ବେଦ୍ୟ „ab“ ବ୍ୟାକରଣ କାହିଁତ ଲାଗାଯାଇଥିବା ଏବଂ



ବ୍ୟାକ. 11.— $E = \lg P_{CO_2}$ ଲାଗିନ୍କ୍ୟାଲ୍ୟବ୍ୟାଲ୍ସ ଗର୍ଭଫୁର୍ଯ୍ୟାଲ୍ସ

რეზნებენ როგორც საყალი იცო მრუდს ნახშირორჟანგის უწყვეტობას
ვის განსაზღვრისათვის. არხში სეცდელი სითხის გატაოების
შემდეგ მიღებული ე. მ. ძ. მნიშვნელობებს პოულობენ საყა-
ლიბო მრუდზე, საიდანაც უშევებენ პერპენდიკულარს აბსცი-
სის ლერძზე და ნახულობენ. მიღებული ლოგარითმის ანტი-
ლოგარითმს და ლებულობენ PCO_2 მნიშვნელობას მმ-ობით.
ნახშირორჟანგის კონცენტრაციის CO_2 (მგ/ლ) გაანგარიშება
წარმოებს ფორმულით:

$$C_{CO_2} = P_{CO_2} \cdot 2,57 \cdot \beta_0 \quad (2)$$

Pco_2 առօս նաելուն-ռըզանցօս ֆիզիկական պահություն մեջ առաջանակագույն է:

2,57 — მოცულობის წონაში ვალასაყვანი ქოეფიციენტი.

Բօ — Ըստուն մոյր նաելուր ռարդանցք Շտանշմիս կողով-
գոյն բարձր գումարությամբ պահպան մասնակիություն է առաջարկությունը:

$$\beta_0 = \beta t - \Delta$$

წი არის ლვინის მიერ ნახშირორჟანგის შთანთქმის კოეფიციენტი

წ—ალკოლმოშორებული სუფრის მშრალი ღვინის
ნახშირორეგანგის შთანთქმის კოეფიციენტი სხვადასხვა ტემპე-
რატურაზე.

Δ — ექსტრაქტისა და ლვინის მიერ ნახშირორეანგის ჟთანთქმის სხვაობა ლვინის სიმაგრესა და შაქრიანობასთან დაკავშირებით.

კოეფიციენტი შე 20°C -ზე უდრის 0,760, ტემპერატურის შეცვლით 20° -დან 14° -მდე ემატება 0,020, ხოლო 20° -დან 30° -მდე 0,015 აქტუალური გრადუსზე.



Δ სუფრის მშრალი 10° სიმაგრის ღვინისათვის უფრო დაბეჭდილია 0,039; 11° — 0,046; 12° — 0,052; 13° — 0,057.

P_{O_2} -ის განსაზღვრისათვის იყენებენ ანალოგიურ გადამწოდს (ნახ. 10) იმ განსხვავებით, რომ მინის ელექტროდი (2) შეცვლილია პლატინის ელექტროდით, ტოლო 0,005 M $NaHCO_3$ და 0,02 M $NaCl$ (4) 0,7 n KCl-ით. ქლორვერცხლის დამხმარე ელექტროდის ნაცვლად (7) გამოყენებულია ვერცხლის დამხმარე ელექტროდი. უანგბადის პარციალური წნევის გაანგარიშება წარმოებს პირველი ფორმულის (1) საშუალებით, როგორც ეს P_{O_2} -თვის იყო აღწერილი.

P_{O_2} -ის განსაზღვრისათვის განკუთვნილ ხელსაწყოს სკალის დასაყალიბებლად იმიტატორის ან პოტენციომეტრის საშუალებით აწვდიან 700 მ/ვ ძაბვას, რისთვისაც O_2 -თვის განკუთვნილ ხელსაწყოს (ნახ. 8) ახდიან სახურავს და შინაგანი წინააღმდევობის (R შინაგანი) სახელურის საშუალებით ისარს მიიყვანენ 0 დანაყოფზე, შემდეგ აძლევენ 650 მ/ვ ძაბვას და მე-8 სახელურით ისარს 100 დანაყოფზე აყენებენ. ამის შემდეგ გამზომ ფოსოში უშვებენ ნაზავს, რომელიც შეიცავს უფრო მცირე რაოდენობის უანგბადს და ხელსაწყოს ისარს მე-7 სახელურით აყენებენ შესაბამის დანაყოფზე, შემდეგ უშვებენ მეორე გაზურ ნაზავს და ისარი მიჰყავთ შესაბამის დანაყოფზე მე-5 და მე-6 სახელურებით. დაყალიბების შემდეგ გამზომ ფოსოში საცდელი სითხის გატარებისას ითვლიან P_{O_2} ჩვენებას მმ-ობრთ. წნევის ერთეულების (მმ) წონით ერთეულებში (მგ/ლ) გადასაყვანად P_{O_2} სიდიდეს (მმ) ღვინისათვის ამრავლებენ 0,05-ზე, კონიაკის სპირტისათვის —



0,14-ზე, კონიაკისათვის კი 0,1-ზე და ლებულობენ მშენებელთა რაოდენობას მგ/ლ-ში¹

pH და Eh განსაზღვრისათვის იყენებენ ანალოგიურ გადამწოდებს იმ განსხვავებით, რომ მათ მოხსნილი აქვთ ფტორიპლასტის გაზუამტარი აფსკი (5) და დამზმარე ელექტროდი (7). როგორც ორივე გამზომი, ისე ერთი საერთო დამზმარე ჭლორვერცხლის ელექტროდი მოთავსებულია გადამწოდში ცალ-ცალკე (ნახ. 10) და ჩამაგრებულია არხში რეზინის საცობით ისე, რომ სითხე შეეხოს მხოლოდ ელექტროდის სამუშაო ნაწილს და გადამწოდში არ ავიდეს.

ხელსაწყოს დასაყალიბებლად არხში პირველად ატარებენ 3,2 pH-იან ბუფერულ ხსნარს და pH-თვის განკუთვნილ ხელსაწყოს პირველი სახელურის საშუალებით აყენებენ 3,2 დანაყოფზე. შემდეგ უშვებენ შესაბამის დანაყოფზე. ამ ოპერაციის იუკორებენ ისე, რომ სახელურებს არ შეეხონ, თუ ორი უკანასკნელი მნიშვნელობები დაემთხვა შესაბამის წინა მდებარეს, ხელსაწყო დაყალიბებულია. როდესაც ხელსაწყოს ამშავებენ 2—4 pH-ის ფარგლებში, მაშინ ბუფერულ ხსნარებს ამზადებენ სათანადო pH-ით და ხელსაწყოს მასზე აყალიბებენ.

Eh-ის განსაზღვრის წინ მისთვის განკუთვნილ ხელსაწყოზე (ნახ. 8) მე-3 სახელურის საშუალებით ისარი მიჰყავთ ნულზე.

იმიტატორით აძლევენ + 500 მ/გ ძაბვას. ისარი გადაიხრება 100 დანაყოფზე. მე-4 გადამრთავით ცვლიან პოლიარობას ხელსაწყოზე და იმიტატორით აძლევენ — 500 მ/გ ძაბვას, ისარი კვლავ დადგება 100 და კოფზე. ამრიგად Eh-ის ვან-

¹ ეს კოეფიციენტი მიახლოვებითაა და მოიხსოვს დაზუსტებას.

საზღვრისათვის განკუთვნილი ხელსაწყო დაყალიბებულია
0 — ± 500 მ/ვ. თითოეული დანაყოფი უდრის 5 მ/ვ-ს.

განსაზღვრა. ხელსაწყოს დაყალიბების შემდეგ არხში
უშვებენ საცდელ ნიმუშს და ლებულობენ ანათვალს ყველა
ხელსაწყოზე (ნახ. 8).

რეზინის წვრილ მიღს უშვებენ საანალიზო ნიმუშის იმ
ფენაში, სადაც უნდა განისაზღვროს ზემოხსენებული კომპო-
ნენტები. მიღის მეორე თავს უერთებენ გამზომ ფოსოს არ-
თან; არხის შეორე ბოლოზე წამოცმული წვრილი რეზინის
მიღიდან ქაჩავენ საანალიზო ხსნარს. ხსნარის პირველი ულუ-
ფა სისტემაში უანგბადს სდევნის და ამიტომ მას აცილებენ,
მისი სიღიძე 3—4-ჯერ უნდა აღმატებოდეს სისტემის
მთლიან მოცულობას და 50—200 მლ-მდე მერყეობდეს. მომ-
ჭერებით კეტავენ არხის ორივე ბოლოს, 3 წუთის შემდევ
იღებენ ანათვალს. ვთქვათ, pH-თვის განკუთვნილმა ხელსაწ-
ყომ უჩვენა 3,3, ხოლო Eh-თვის — 160 მ/ვ; CO₂-თვის კი
300 მ/ვ; P_{O₂}-თვის — 60 მმ. „ab“ საყალიბო მრუდზე PCO₂
მნიშვნელობის (300 მ/ვ) ნახვის შემდევ უშვებენ პერპენდიკუ-
ლარს აბსცისის ღერძზე და ვთქვათ, მიიღეს Ig 1,565. მისი
ანტილოგარითმი იქნება 36,73 მმ. ამ სიღიძეს სვამენ მე-2
ფორმულაში, რის შემდევ იღებენ
CO₂=36,73×2,57×0,714=67,4 მგ/ლ

O₂-თვის განკუთვნილმა ხელსაწყომ თუ უჩვენა 60 მმ,
მისი გადამრავლებით 0,05-ზე მიღებული იქნება 3,0 მგ/ლ.

ამრიგად, საანალიზო ღვინოს ჰქონია pH—3,3, Eh — 160
მ/ვ, CO₂—67,4 მგ/ლ, O₂—3,0 მგ/ლ.

შაქრის განსაზღვრა იოდომეტრული მეთოდით

(ღამუშავი პოჩინოვმა, შეამოწმა და დადგებითი შედევები მაილო
 ო წიწილაშვილი)

პრინციპი. შაქრები, რომლებიც შეიცავს ფსევდო ან
 თავისუფალ კარბონილის ჯგუფს, ტუტე არეში ლვინომჟავას
 მონაწილეობით სპილენძს აღადგენს და წარმოშობს მის ქვე-
 ჟანგს. ამ უკანასკნელს მუავაში ხსნიან, კალიუმის იოდატით
 უანგავენ, რითაც შაქრების რაოდენობას ანგარიშობენ.

საჭირო რეაქტივები: 1. სპილენძის ტუტე ხსნარი.
 12 გ შაბიამანს ($\text{CuSO}_4 \cdot 5\text{H}_2\text{O}$) და 21,5 გ ლვინომჟავას ხსნიან
 400 მლ წყალში, ხოლო 75 გ უწყლო სოდას (Na_2CO_3) 500
 მლ-ში, შემდეგ ამ უკანასკნელ ხსნარს ფრთხილად ურევენ შა-
 ბიამნის ხსნარს, რომ CO_2 არ გამოყოს. აღნიშნულ ნარევს
 უმატებენ 890 მგ კალიუმის იოდატის (KJO_3) და 8 გ იოდ-
 კალიუმს (KJ) ავსებენ ლიტრამდე და ბრტყელძირიან კონუ-
 სურ კულაში გადააქვთ, ძაბრს ახურავენ, წყლის აბაზანაში
 დგამენ ისე, რომ აბაზანაში წყლის სიმაღლე კულაში
 მყოფი სითხის სიმაღლეზე ნაკლები არ იყოს, 15 წუთს
 ადულებენ. ხსნარს მეორე დღემდე ტოვებენ, შემდევ სუფთა,
 ვამჭვირვალე ხსნარი სიფონით გადააქვთ მილესილსაცობიან
 კულაში, საცობს ახურავენ და ანალიზისათვის ინახავენ. 2.
 მეუაუნმჟავა-გოკირდმჟავას ხსნარი. 60 გ მეუაუნმჟავას 800
 მლ წყალში ხსნიან, 70 მლ კონცენტრულ გოგირდმჟავას
 ფრთხილად უმატებენ, აცივებენ, ლიტრიან კულაში გადააქვთ
 და ნიშანხაზამდე წყლით ავსებენ. 3. თუთიის სულფატის
 10%-იანი ხსნარი. 100 გ თუთიის სულფატის ($\text{ZnSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$)
 ხსნიან 1 ლ წყალში; 4. 0,4 კ ნატრიუმის ტუტე. 16 გ სუფთა

NaOH ხსნიან 1 ლიტრ წყალში; 5. განშავებული (1:1) მარილმჟავა. 500 მლ HCl ($d=1,19$) ათავსებენ ლიტრიან საზომ კულაში და ნიშანხაზამდე წყლით ავსებენ; 6. 0,01 ლ ჰიპოსულფიტი. 0,1 გრამეკვივალენტ ჰიპოსულფიტის ფიქსონალი გადააქვთ ლიტრიან საზომ კულაში, ჯერ ხსნიან და შემდეგ ნიშანხაზამდე ავსებენ, კარგად ურევენ, შემდევ იღებენ, 100 მლ ლიტრიან კულაში ათავსებენ და 0,01 ლ ჰიპოსულფიტის მისაღებად ნიშანხაზამდე ავსებენ. 7. 0,5%-იანი სახამებლის ხსნარი.

საანალიზო მასალის მომზადება. მცენარეულ ობიექტში შაქრის განსაზღვრისათვის 5 გ საანალიზო მასალა ალუმინის ბიუქეში გადააქვთ, თავს ახურავენ და წყლის ორთქლით 15-წუთიან სტერილიზაციას უკეთებენ, შემდეგ კი ანალიზის დაწყებამდე მაცივრის საყინულე კამერაში ინახავენ. ანალიზის დაწყების წინ ფაიფურის სანაყში ათავსებენ, მცენარეოდენ წყალს უმატებენ და ხეხავენ ფაფისებური მასის მიღებამდე და შემდეგ 50 მლ წყლით 100 მლ-იან საზომ კულაში გადააქვთ.

ლვინოსა და ტებილში შაქრის განსაზღვრისათვის პიპეტის საშუალებით ზუსტად იღებენ 10 მლ მშრალ ლვინოს, ან 2 მლ ტებილ ლვინოს, ან 1 მლ ყურძნის წვენს და გადააქვთ 100 მლ-იან კულაში, უმატებენ 40—50 მლ წყალს. როგორც მცენარეული მასალიდან, ასევე ლვინიდან ცილების გამოსალექად თითოეულ ნიმუშს ემატება 7,5 მლ თუთიის სულფატი, 11,3 მლ 0,4 ლ ნატრიუმის ტუტე. ანჯლრევენ, ნიშანხაზამდე ავსებენ, ფილტრავენ და ფილტრში საზღვრავენ როკორც მარტივ, ისე რთულ შაქრებს.

მ ა რტ ი ვ ი (ინვერსიული) შაქრების განსა-



ზღვრა. 10 მლ ფილტრატს ათავსებენ 100--150 მსგავსობრივი სინჯარაში (10 მლ-ზე ნაკლები ფილტრატის შემთხვევაში სინჯარაში შეაქვთ იმდენი წყალი, რომ საერთო მოცულობა 10 მლ-მდე იყოს), უმატებენ 10 მლ სპილენძის ტუტე ხსნარს. უკეთებენ პატარა ძაბრს და 15 წუთით დგამენ მაღულარი წყლის აბაზანაში, აცივებენ, შემდეგ 5 მლ მჟაუნმჟავა-გოგირდმჟავას ნარევს უმატებენ, ისე რომ, ნალექი მთლიანად გახსნას, აგრეთვე ემატება 1—2 მლ სახამებელი და ტიტრავენ 0,01 ლ ჰიპოსულფიტით, სანამ ლურჯი ფერი ღია ცისფერს არ მიიღებს. დახარჯულ ჰიპოსულფიტს იწერენ.

საერთო შაქრების განსაზღვრა. 25 მლ ფილტრატი გადააქვთ 50 მლ-იან საზომ კულაში, უმატებენ 1 მლ განხავებულ (1:1) მარილმჟავას, 10 წუთი ათავსებენ 70°C-იან წყლის აბაზანაში, აცივებენ, უმატებენ კიდევ 2 წვეთ ფენოლფტალეინს და ვარდისფერის. მიღებამდე ანეიტრალებენ 2 ლ ნატრიუმის ტუტის ხსნარით; ამის შემდევ კულას გამოხდილი წყლით ავსებენ 50 მლ-მდე, აქედან კი იღებენ 10 მლ ხსნარს და საზღვრავენ შაქრებს ზემოთ აღწერილი წესით. დახარჯულ 0,01 ლ ჰიპოსულფიტს იწერენ.

ფუჭი განსაზღვრა: 10 მლ სპილენძის ტუტე ხსნარი გადააქვთ 100—150 მლ-იან სინჯარაში, უმატებენ 5 მლ მჟაუნმჟავა-კოვირდმჟავას ნარევს, 10 მლ საანალიზო ფილტრატს და 1—2 წვეთ სახამებელს, ტიტრავენ 0,01 ლ ჰიპოსულფიტით. დახარჯულ ჰიპოსულფიტის რაოდენობას იწერენ.

გამოანგარიშება ინვერსიული შაქრებისათვის:

$$S = \frac{V \cdot 100 [248 - (a - b)] \cdot (a - b)}{P \cdot C \cdot 1000000}$$



S არის ინვერსული (მარტივი) შაქრების ოპოდენისათვის
%-ობით.

V — ნიმუშის მოცულობა განზავების შემდეგ

100 — პროცენტში გადასაყვანი ერთეული.

$$[248 - (a - b)] \cdot (a - b) = 1 \text{ მლ } 0,01 \text{ ლ } \text{ჰიპოსულფიტის } \text{შენა-} \\ 100 \text{ 0000}$$

ბამისი შაქარი %-ობით.

a—ფუჭ განსაზღვრაზე დახარჯული 0,01 ლ ჰიპოსულფიტი
მლ-ობით.

b — საცდელ განსაზღვრაზე დახარჯული 0,01 ლ ჰიპო-
სულფიტი მლ-ობით

P — საანალიზო ალებული ნიმუში გ-ობით ან მლ-ობით

C—გასატიტრად ალებული ფილტრატი მლ-ობით

მაგალითი. 5 გ ან 5 მლ საანალიზო ნიმუში
გააზავეს 100 მლ-მდე, აქედან 10 მლ გადაიტანეს გასატიტრავად
სინჯარაში. რომელზედაც დაიხარჯა 19 მლ 0,01 ლ ჰიპოსულ-
ფიტი, ფუჭ განსაზღვრაზე კი 25 მლ. აღნიშნული სიდიდეები
ჩასვეს ფორმულაში, საიდანაც მიიღეს:

$$S = \frac{100 \cdot 100 [248 - (25 - 19)] \cdot (25 - 19)}{5 \cdot 10 \cdot 1000000} = \frac{10000 \cdot 1452}{50000000} = 0.29\%$$

გამოანგარიშება საერთო შაქრებისათვის

$$S \parallel \frac{V \cdot V_2 \cdot 100 [248 - (a - b)] \cdot (a - b)}{P \cdot V_1 \cdot C \cdot 1000000}$$

S: არის საერთო შაქრები %-ობით

ალებული და ფილტრატი მლ-ობით

V — ნიმუშის მოცულობა განზავების შემდეგ
 V₂ — ნიმუშის მოცულობა ინვერსიის შემდეგ
 100 — პროცენტი გადასაყვანი ერთეული

$$\frac{[248 - (a-b)] (a-b)}{1000000} = 1 \text{ მლ } 0,01 \text{ n} \quad \text{ჰიპოსულფიტის შე-}$$

საბამისი შაქარი % -ობით

a — ფუჭი განსაზღვრაზე დახარჯული 0,01 n ჰიპოსულ-
 ფიტი მლ -ობით

b — საცდელ განსაზღვრაზე დახარჯული 0,01 n ჰიპო-
 სულფიტი მლ -ობით

P — საანალიზო ალებული ნიმუში გ -ობით ან მლ -ობით

V₁ — ინვერსიისათვის ალებული ფილტრატი მლ -ობით

C — გასატიტრად ალებული ფილტრატი მლ -ობით.

მაგალითი. 5 გ ან 5 მლ საანალიზო ნიმუში გაზა-
 ვებულ იქნა 100 მლ -მდე, აქედან ინვერსიისათვის ალებული
 იყო 25 მლ, ხოლო ინვერსიის შემდევ განზავდა 50 მლ -მდე,
 გასატიტრად აღდეს 10 მლ; ნიმუშის ტიტრაციაზე დაიხარჯა
 10 მლ 0,01 n ჰიპოსულფიტი, საკონტროლოზე კი 25 მლ.

ჩავსვათ ფორმულაში, მივიღებთ

$$S = \frac{100 \cdot 50 \cdot 100 [248 - (25 - 10) (15 - 10)]}{5 \cdot 25 \cdot 10 \cdot 1000000} =$$

$$= \frac{500000 \cdot 3495}{1 \cdot 250000000} = \frac{3495}{2500} = 1,398 \approx 1,4\%$$

საქართვის ანგარიში

S₁ = 0,95 % -ობით (S₁ - S)

დავუშვათ, რომ საერთო შაქრების რაოდენობა ნიმუშში

აღმოჩნდა 1,4%, მარტივი შაქრებისა კი 0,29%, შაშინ რთული შაქრები საქართვაზე გადაანგარიშებით ყოფილა:
 $S_2 = 0,95 \cdot (1,4 - 0,29) = 1,05\%$.

აზოტის სეგადასევა ფორმების განსაზღვრა მცხვარეულ რაოւეამთხა და ლპიცოზი

(შევენარეული ობიექტებისათვის შეთოდი დაამუშავა პოჩინკვშა,
შეამოწმა და დგინისათვის მოდიფიკაცია გაუკეთა ო. წიწილაშვილმა)

პრინციპი. საანალიზო ნიმუშს ქატალიზატორის და-
ხმარებით გოგირდმჟავიან არეში ანაცრებენ და იღებენ გო-
გირდმჟავა ამონიუმს; აზოტს ქლორამინით უანგავენ 6,3—6,8
pH-ზე, უმატებენ KJ-ს და მჟაუნმჟავას ხსნარს, გამოყოფილ
იოდს 0,02n ჰიპოსულფიტთ ტეტრავენ. დახარჯული ჰიპო-
სულფიდის რაოდენობით ანგარიშობენ ნიმუშში საერთო აზო-
ტის რაოდენობას.

საჭირო რეაქტივები: 1. 0,12n ქლორამინის
ხსნარი. 15 გ ქლორამინს $C_6H_4(CH_3)SO_2NaClNa \cdot H_2O$
ხსნიან ლიტრ წყალში, ფილტრავენ ბაზაში და ინახავენ
მიღესილსაცობიან მუქ ჭურჭელში. 2. KBr-იანი ფოს-
ფორის ბუფერული ხსნარი, რომლის pH უდრის 6,7. 60 გ
კრისტალურ $Na_2HPO_4 \cdot 12H_2O$, 30 გ KH_2PO_4 და 100 გ
KBr ხსნიან 1 ლიტრ წყალში. 3. KJ-ის 20%-იანი ხსნა-
რი, რომელსაც დამატებული იქს 0,5 მლ 2n NaOH,
ინახავენ ბნელ, მიღესილსაცობიან ჭურჭელში. 4. მოლიბდენ-
მჟავა ნატრიუმის 10%-იანი ხსნარი. 10 გ მოლიბდენმჟავა
ნატრიუმს ხსნიან მცირე რაოდენობის წყალში, უმატებენ

0,5 მლ 2n ნატრიუმის ტუტეს, ადულებენ 15 წუთით, 100 მლ-მდე წყლით ავსებენ, აცივებენ და ინახავენ მიღესილსაცობიან ქილაში. 5. ჰიპოსულფიტის 0, 02n ხსნარი. 6. ნატრიუმის ტუტის 0,15n ხსნარი. 7. შაბიამნის 3%-იანი ხსნარი. 8. გოგირდჟუვა კალიუმი. 200 გ ქიმიურად სუფთა K_2SO_4 -ს ხსნიან ერთ ლიტრ წყალში, უმატებენ 5 მლ 20%-იან ნატრიუმის ტუტეს, ადულებენ მანამ, სანამ ხსნარი გამოლექილი მარილით არ აიმღვრევა, შემდეგ გადააქვთ ფაიფურის ჯამშე და ორტექლებენ 100 მლ-მდე. აცივებენ, გამჭვიოვალე ხსნარს აშორებენ და ნალექს აშორებენ ჰიდროკარბონის აბაზანაზე მუდმივი რევით, მშრალ ფხვნილს ათავსებენ მიღესილსაცობიან ქილაში და ინახავენ ანალიზისათვის; 9. სპილენძის ჰიდროჟანგის მომზადება. 50 გ შაბიამნს ხსნიან 2,5 ლიტრ წყალში და უმატებენ 1 მლ გლიცერინს; სპილენძის ჰიდრატის გამოსალექად უმატებენ ტუტე რეაქციამდე 5%-იან ნატრიუმის ტუტეს; ნალექს სწრაფად ფილტრავენ ბუნებრივ ძაბრში, გადააქვთ კულაში და უმატებენ 1,2 ლიტრ წყალს, რომელიც შეიცავს ლიტრზე 4 მლ გლიცერინს, ანჯლრევენ და შემდეგ განმეორებით ფილტრავენ. აღნიშნულ ოპერაციას იმეორებენ ორჯერ ტუტის მოსაცილებლად. ამის შემდეგ ნალექი გადააქვთ ქილაში, უმატებენ 400 მლ 10%-იანი გლიცერინის წყალს ხსნარს, ახურავენ მიღესილ საცობს და ინახავენ სიბნელეში; 10. 4n მარილმჟავა. 327 მლ კონცენტრულ HCl იხსნება ლიტრ წყალში; 11. ალუმინ-კალიუმიანი შაბის ნაჯერი ხსნარი; 12. 10%-იანი გლიცერინის ხსნარი.

რეაქტივები, გამოხდილი წყალი და ლაბორატორიის

ჰერი არ უნდა იყოს დასკრილი ამონიაკით, ან თავისუფლებულია აზოტით.

საანალიზო მასალის მომზადება. საერთო აზოტის განსაზღვრა. 50 მლ-იან კელლალის კულის ფსკერზე ათავსებენ და წყლის აბაზანაზე გაშრობამდე ორთქლებენ 10 მლ ღვინოს ან 20 მლ კონიაკის სპირტს, ან 0,2 გ ჰერზე გამშრალ ვაზის მაგარ ნიწილებს, ორმელშიც აზოტის საერთო რაოდენობა 2—10 მგ-მდე მერყეობს, უმატებენ 0,4 გ კალიუმის სულფატს, 0,3 მლ 10%-იან მოლიბდენმჟავანიტრიუმს, 0,2 მლ 57%-იანი ქლორის მჟავას, 2,5 მლ კონცენტრულ გოგირდმჟავას, ურევენ და დგამენ დახრილ მდგომარეობაში ცივ ლუმელზე, ორმელსაც ფოთხილად აცხელებენ ისე, ომ ქაფი არ გაღმოვიდეს. ოოცა აქაფება შენელდება, ახურავენ ძაბრს და აცხელებენ ერთი საათით; თუ ხსნართ ერთი საათის განმავლობაში არ გაუფერულდა, ღუმელიდან გაღმოაქვთ, ხუთი წუთით აცივებენ და სამ წვეთ 30%-იანი წყალბადის ზეჟანგს უმატებენ; შემდევ 10—15 წუთს კვლავ პირდაპირ ცეცხლზე აღუღებენ. ამ ოპერაციას ნიმუშის მთლიან გაუფერულებამდე იმეორებენ. წყალბადის ზეჟანგის უკანასკნელი ულუფის მიმატების შემდევ 10—15 წუთით ისევ გაცხელება სავალდებულოა წყალბადის ზეჟანგის მთლიანად დაშლისათვის, აცივებენ გამოხდილი წყლის საშუალებით, გადააქვთ 50 მლ-იან საზომ კულაში და ნიშანხაზამდე ავსებენ. მასალა მზადაა შემდევი ანალიზისათვის.

ცდები ადასტურებს, რომ სპილენძი ლექავს არა მარტო ცილის აზოტს, არამედ სხვა ორგანულ ნაერთებთან დაკავშირებულ აზოტსაც. მათ შორის მელანოიდურს და ამით ზრდის ცილის აზოტის რაოდენობას; პოლიტროვა-სოვზენკომ მელანოიდური აზოტის მოსაცილებლად გამოიყენა იონცვლი-

თი ფისები; წვენც ვისარგებლეთ მათი მონაცემებით და მელანოიდიშვილის შეკავშირებულ აზოტის განსაზღვრისათვის პირველად ლვინიდან ვლექავთ ცილებსა და მელანოიდინებს, ვანაცრებთ და ვსაზღვრავთ აზოტის ჯამს. შემდგომში ღვინოს ვაშორებთ მელანოიდინებს და ვსაზღვრავთ ცილის აზოტს, სხვაობით ვანგარიშობთ მელანოიდინის აზოტს.

მასალის გოგიადება ცილა-გელანოიდინების აზოტის განსაზღვრისათვის მცინარეულ რაიონთსა და ლინიონი

ჰაერზე განშრალ 0,25 გ ვაზის მაგარ ნაწილებს აქუც-მაცებენ, ფქვავენ და გადააქვთ ფაიფურის პატარა სანაყზე, შემდეგ უმატებენ მცირე რაოდენობის წყალს და ენერგიულად სრესენ ფაფისებური მასის მიღებამდე, 25 მლ წყლით გადააქვთ 100 მლ-იან ჭიქაში, რომელსაც დგამენ ღუმელზე და აცხელებენ აღულებამდე; ცხელსავე უმატებენ 10 მლ 3%-იან შაბიამნის სსნარს, მინის წკირით ურევენ და კვლავ უმატებენ 10 მლ 0,15n ნატრიუმის ტუტეს; ასევე ტოვებენ სამი საათით. ცხელს ფილტრავენ დეკანდაციით. შემდეგ ნალექი უდანყარ-გოდ გადააქვთ ფილტრზე, რეცხავენ ცხელი წყლით SO_4^{2-} იონების მოცილებამდე, ფილტრს აშრობენ, გადააქვთ კელდალის 250 მლ-იან კულაში და სველად ანაცრებენ, ბოლოს 50 მლ-მდე ავსებენ.

50 მლ-იან საზომ კულაში ყრიან 4 გ კათონიტ სბს—1, ასხამენ წყალს და მეორე დღემდე ინახავენ. შემდეგ დეკანდა-ციით წყალს აშროებენ და ასხამენ 10 მლ 4n მარილმჟავას, 30 მლ წყალს და კვლავ ტოვებენ მეორე დღემდე. ამის შემდეგ სსნარს აცილებენ და იონიტს კვლავ სამჯერ რეცხავენ მცირე წყლით და კათონიტიან კულაში ასხამენ 25 მლ ლინოს, ანჯლრევენ და ნიშანსაზამდე წყლით ავსებენ, ტოვებენ.

მეორე დღემდე და თანაც დროგამოშვებით ანჯლრევენ. ჰემიკსულის მერე წარმოებს მისი გაფილტვრა ბუხნერის ძაბრში; 40 მლ ფილტრატს იყენებენ ცილის აზოტის განსაზღვრისათვის, რომლის რაოდენობა შეესაბამება 20 მლ ლვინოს; ამ უკანასკნელს ათავსებენ 100—150 მლ-იან ქიმიურ ჭიქაში, უმატებენ 20 მლ სპილენძის ჰიდროფანგს, 5 მლ ალუმინის შაბის ნაჯერ სსნარს, აღულებენ წყლის აბაზანაზე 10 წუთი, ფილტრავენ ქალალდის პატარა ფილტრში, ხოლო ნალექს სამჯერ რეცხავენ 10%-იანი გლიცერინის ცხელი სსნარით და ფილტრთან ერთად 10 წუთს ათავსებენ თერმოსტატში 100—105 გრადუსზე. ფილტრი ნალექიანად გადააქვთ 250 მლ-იანი კელდალის კულაში. ამ ოპერაციების ჩატარების შემდეგ სველად ანაცრებენ, ისე როგორც ზემოთ იყო აღწერილი და 50 მლ-მდე ავსებენ.

განსაზღვრა. როგორც საერთო აზოტის, ასევე ცილისა და მელანოიდინის აზოტის განსაზღვრისათვის მიღებულ სსნარებში ანალიზი ერთნაირად ტარდება. 20 მლ სსნარს პიპეტის საშუალებით ერლენმეირის კულაში ათავსებენ, 2—3 წვეთ 0,1%-იან მეთილორანჯს უმატებენ და 2n ნატრიუმის ტუტით ტიტრავენ. როცა ყვითელ ფერს მიიღებს, 10 მლ ფოსფორის 6,7 pH-იან ბუფერულ სსნარს უმატებენ. კულას საათის მინას ახურავენ და მეტად წვრილი ნაკადით უმატებენ 5 მლ 0,12n ქლორამინის სსნარს, ოდნავ შეარჩევენ წრიული მოძრაობით და 25 წუთით ტოვებენ, შემდეგ შეურევენ 3 მლ 20%-იან კალიუმ-იოდის სსნარს, 10 მლ 8%-იან მჟაუნმჟავის სსნარს, 1—2 მლ სახამებელს და გამოყოფილ იოდს ტიტრავენ 0,02 n პიპოსულფიტით.



გამო ანგარიშები. 1 მლ 0,02 ლ ჰიპოსულფიტი
უკვივალენტია 0,09338 მგ აზოტისა.

პარალელურად ტარდება ფუჭი განსაზღვრა, რომ შემო-
წმდეს რეაქტივების სისუფთავე აზოტის შემცველობაზე.

ფოსფორის ფორმების განსაზღვრა ვაჟსა და ლვინოზი

(მცენარეული ობიექტებისათვის მეთოდი დაამუშავა ბერძისტმა,
შეამოწმა და ლვინისათვის მოდიფიკაცია გაუკეთა ო. წიწილაშვილმა)

3 რიცხვითი. საანალიზო ლვინოს ან ვაზის მექანიკური
ნაწილებიდან HClO_4 -ით გამოწვლილულ ექსტრაქცის ანაცრე-
ბენ და საერთო ფოსფორს საზღვრავენ. საანალიზო მასალის
ახალ ულუფას (ექსტრაქცის ან ლვინოს) ცივ პირობებში ნახ-
შირით ამჟამავებენ, ნახშირზე ადსორბირდება მხოლოდ ნუკ-
ლეოტიდები, ხოლო ფილტრში გავა არაორგანული და სხვა
ფოსფორორგანული შენაერთები, რომლებსაც ყოფენ, ცალ-
ცალკე წვავენ და თითოეულ მათგანში ფოსფორის რაოდენო-
ბას საზღვრავენ.

საჭირო რეაქტივები 1. HClO_4 -ის 10% -იანი
ხსნარი ($d=1,06$); 2. HClO_4 -ის 5% -იანი ხსნარი; 3. HClO_4 -
ის კონცენტრული ხსნარი ($d=1,63$); 4. ამიდოლი. 200 მგ
ამიდოლს და 4 გ ნატრიუმეტაბისულფიტს ფაიფურის პატარა
სანაუში კარგად სრესენ 5 მლ წყალთან, შემდეგ ფილტრავენ,
საზომ ცილინდრში 20 მლ წყლით რეცხავენ და ფილტრატს
როგორც რეაქტივს ხვარობენ: 5. მოლიბდენიუმავა ამონიუმის
 $8,3\%$ -იანი ხსნარი; 6. აქტივირებული ნახშირი. 500 გ აქტი-
ვირებულ ნახშირს ფაიფურის ჯამზე ემატება ნორმალური

HCl ნახშირის დაფარვამდე, ათავსებენ მაღულარი წყლის აბაზინაში ერთი საათით, მინის წკირით ხანგამოშვებით ურევენ და გადაწურვებენ. მა თერაციას იმეორებენ სამჯერ, რეცხავენ გამოხდილი წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე და შემდევ ამოწმებენ ფოსფორზე ფუჭი განსაზღვრით; 7. აზბესტის ფილტრი, რომელიც წინასწარ გარეცხილი უნდა იყოს ჯერ ქრომის ნაზავით, შემდევ გამოხდილი წყლით, 8. HCl-ის ნორმალური ხსნარი; 9. სტანდარტული ხსნარები. ერთხანაცვლებული კალიუმის ფოსფატს აშრობენ მუდმივ წონამდე, აქციან 0,4389 გ წონაან და ხსნაან 100 მლ წყალში. ასეთი ხსნარის 1 მლ შეიცავს 1 მგ ფოსფორს (დედა ხსნარი); 2 მლ დედა ხსნარს ავსებენ 100 მლ-მდე, რომლის 1 მლ 20 მიკროგრამ ფოსფორს შეიცავს.

სამუშაო გრაფიკის შესადგენად იღებენ 0,0; 0,2. 0,4 0,6; 0,8; 1,0; 1,5; 2,0; 2,5 და 3,0 მლ დედა ხსნარს, თითო ეულ მათგანს ავსებენ 4 მლ-მდე წყლით, შემდევ უმატებენ 0,4 მლ ქლორმჟავას, 0,4 მლ ამიდოლს და 0,2 მლ მოლიბდენმჟავა ამონიუმს. ფოტოელექტროკოლორიმეტრზე №8 შუქფილტრით საზღვრავენ ექსტინქციას, ადგენენ მრულსა და სამუშაო ცხრილს (ცხრილი 10).

საან ა ლ ი ზ ო მ ა ს ა ლ ი ს მ ო მ ზ ო დ ე ბ ა. საანალიზოდ იღებენ ცოცხალ მცენარეზე ახლად მოშორებული ნაწილების 10 გრამს. აკივებენ ყინულზე, აქცუცმაცებენ, გადააქვთ სანცუში, უმატებენ $2-4^{\circ}$ -მდე გაცივებულ 6 მლ 10%-იან HClO_4 -ის ხსნარს და სრესენ ფაფისებურ მასის მიღებამდე. კიდევ უმატებენ 4 მლ გაცივებულ 10%-იან HClO_4 . გადააქვთ წინასწარ გაცივებულ 50 მლ-იანი ცენტრიფუგის სინჯარაში, რომელსაც 30 წუთით $0+2^{\circ}\text{C}$ -ზე მაცივარში ინახავენ. მიღე-

ფოსფორის რაოდენობა მიკროგრამობით ოპტიკურ ხიმიკოლოგიურ მეთოდებით
დაკავშირებით

E	β_{38}	P	E	β_{38}	P									
0,02	0,5	0,20	10,5	0,38	20,5	0,56	30,5	0,75	40,5	0,93	50,5			
0,03	1,0	0,21	11,0	0,39	21,0	0,57	31,0	0,76	41,0	0,94	51,0			
0,04	1,5	0,22	11,5	0,40	21,5	0,58	31,5	0,76	41,5	0,9	51,5			
0,05	2,0	0,23	12,0	0,41	22,0	0,59	32,0	0,77	42,0	0,96	52,0			
0,06	2,5	0,24	12,5	0,42	22,5	0,60	32,5	0,78	42,5	0,97	52,5			
0,07	3,0	0,25	13,0	0,43	23,0	0,61	33,0	0,79	43,0	0,97	53,0			
0,08	3,5	0,26	13,5	0,44	23,5	0,62	33,5	0,80	43,5	0,98	53,5			
0,09	4,0	0,27	14,0	0,44	24,0	0,63	34,0	0,81	44,0	0,99	54,0			
0,10	4,5	0,27	14,5	0,45	24,5	0,64	34,5	0,82	44,5	1,00	54,5			
0,11	5,0	0,28	15,0	0,46	25,0	0,65	35,0	0,83	45,0	1,1	55,0			
0,12	5,5	0,29	15,5	0,47	25,5	0,65	35,5	0,84	45,5	1,02	55,5			
0,13	6,0	0,30	16,0	0,48	26,0	0,66	36,0	0,85	46,0	1,03	56,0			
0,14	6,5	0,31	16,5	0,49	26,5	0,67	36,5	0,86	46,5	1,4	56,5			
0,15	7,0	0,32	17,0	0,50	27,0	0,68	37,0	0,86	47,0	1,05	57,0			
0,16	7,5	0,31	17,5	0,51	27,5	0,69	37,5	0,87	47,5	1,6	57,5			
0,17	8,0	0,4	18,0	0,52	28,0	0,70	38,0	0,88	48,0	1,7	58,0			
0,18	8,5	0,35	18,5	0,53	28,5	0,71	38,5	0,89	48,5	1,8	58,5			
0,19	9,0	0,36	19,0	0,54	29,0	0,72	39,0	0,90	49,0	1,8	59,0			
0,19	9,5	0,37	19,5	0,55	29,5	0,73	39,5	0,91	49,	1,9	59,5			
0,19	10,0	0,37	20,0	0,56	30,0	0,74	40,0	0,92	50,0	1,10	60,0			

ბულ ჰომოგენურ მასას მაცივრიან ცენტრიფუგაში აცენტრი-ფუგირებენ 6000 ბრ./წ 10 წუთის განმავლობაში, გაღმოწუ-რავენ 50 მლ.-იან საზომ ცილინდრში და ათავსებენ ისევ მა-ცივარში. ნალექს სინჯარაში უმატებენ 10 — 15 მლ 5%-იან HClO_4 , მინის ჩხირით გულმოდგინედ ფრევენ და 15 წუთით მაცივარში დკამენ, დროვამოშევებით ურევენ მინის ჩხირს, HClO_4 -ით კვლავ რეცხავენ და აცენტრიფუგირებენ. მიღებულ ექსტრაქტს უმატებენ წინა ულფას და 40 მლ-მდე 5%-იანი



HClO_4 -ით ავსებენ. ეს არის 10 გ ნედლეულის ექსტრაქციულ განზავებული 40 მლ 5%-იან HClO_4 -ში (A). ასეთი ექსტრაქციით გამოიწვლილება ფოსფორის 90—92%, რომელიც ერთი ექსტრაქციის დამატებით 98%-მდე იზრდება.


ღვინოში ფოსფორის განსაზღვრისათვის 10 მლ ღვინოს ათავსებენ და 40 მლ-მდე 5%-იანი HClO_4 -ით ავსებენ (A).

ამ გზით მიღებულ ხსნარში საზღვრავენ არაორგანულ ფოსფორს, ეთერშაქრების, ნუკლეოტიდებისა და მაკროერგულ ფოსფორს.

საერთო ფოსფორის განსაზღვრა. 5 მლ საანალიზოდ მომზადებულ ნიმუშს (A) ოთხჯერ წყლით ანზავებენ და იღებენ 2 მლ განზავებულ ხსნარს, გადააქვთ სინჯარაში, უმატებენ 0,4 მლ HClO_4 ($d=1,63$) და წვავენ კოლექტორში, საღაც ტემპერატურა არ აღემატება $180—190^{\circ}\text{C}$ (ნახ. 12). დაწვის შემდეგ აცივებენ, ასხამენ 4 მლ წყალს, 0,4 მლ ამიდოლს და 0,2 მლ მოლიბდენმჟავა ამონიუმს, ენერგიულად არხევენ, 20 წუთით ოთახის ტემპერატურაზე ტოვებენ და შემდეგ ფოტოელექტროკოლორიმეტრით 620 მილიმიკრონის სიგრძის ტალღაზე საზღვრავენ ოპტიკურ სიმკვრივეს, შესაბამის ფოსფორს კი ნახულობენ სამუშაო ცხრილში. ფოსფორის საერთო რაოდენობას ანგარიშობენ ქვემოთ მოყვანილი განტოლებით.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ფოსფორის საერთო რაოდენობა სურა განსაზღვრონ, ცხელი ორთქლით ფიქსირებული, გამშრალი და დაფქვილი მასალიდან იღებენ 20 მგ მშრალ მასას, გადააქვთ სინჯარაში, უმატებენ 0,4 მლ კონცენტრულ HClO_4 , 2 მლ წყალს და წვავენ კოლექტორში, ასხამენ 4 მლ წყალს და ყველა იმ რეაქტიებს, რაც ზემოთ იყო მოყვანილი. დაწვის შემდეგ ანგარიშობენ ამ ნიმუშში ფოსფორის საერთო რაოდენობას.

არათრგან ული ფოსფორის გაწნაშე ღვრა. არა-
თრგანული ფოსფორის განსაზღვრა მიმდინარეობს საერთო
ფოსფორის განსაზღვრის ანალოგიურად, მხოლოდ დაწვის გა-



ნახ. 12. ქურა კოლექტორით (ჭრილში)

1. მეტალური კოლექტორი, 2. კონტაქტური თერმომეტრი,
3. სინჯარა ნიმუშისათვის, 4. ელექტროქურა

რეშე. 2 მლ ექსტრაქცის ან თეთრ ღვინოს (A) უმატებენ 2 მლ წყალს, 0,4 მლ ქლორის მჟავას ($D=1,63$), 0,4 მლ ამიდოლს და 0,2 მლ მოლიბდენმჟავაამონიუმს. არსევენ და 20 წუთის შემდევ ფოტოელექტროკოლორიმეტრით საზღვრავენ ოპტიკურ სიმკვრივეს 620 მმ/კვ სიგრძის ტალღაზე.



ნუკლეოტიდების (მაკროერგული) ფოსფათული
რის განსაზღვრა. 25 მლ საანალიზოდ მომზადებული
ნიმუში (A) გადააქვთ ცენტრიფუგის სინჯარაში და უმატებენ
400 მგ ნახშირს, ურევენ მინის წყირით და 20 წუთით $0+2^{\circ}$ -
ზე დგამენ მაცივარში. 10 წუთით ცივად აცენტრიფუგირებენ
6 000 ბრ/წ. ხსნარს აშორებენ და ნახშირს გამოხდილი წყლით
და ცენტრიფუგირებით საშვერ რეცხავენ, ნარეცხს ლვრიან,
ნახშირი კი წყლის დახმარებით გადააქვთ ცენტრიფუგის და-
ნაყოფებიან 10 მლ-იან სინჯარაში, აცენტრიფუგირებენ, წყალს
აცლიან, ზევიდან ფილტრის ქაღალდით მსუბუქად ამშრალე-
ბენ, უმატებენ 5 მლ ნორმალურ მარილმჟავას, შუშის ჩირით
ურევენ და 10 წუთით დგამენ მაცუღარი წყლის აბაზანაში,
აცივებენ, წყირს რეცხავენ და მიპყავთ 9,0 მლ-მდე (რომელშიც
ნახშირის მოცულობა უდრის 1,5 მლ-ს), აცენტრიფუგირებენ
და ხსნარს ფილტრავენ პატარა ($d=2,5$ სმ) მშრალ ფილტრში.
3 მლ ფილტრატს უმატებენ 1 მლ წყალს, 0,4 მლ HClO_4
($d=1,63$), 0,4 მლ ამიდოლს, 0,2 მლ მოლიბდენმჟავაამონიუმს
და ფოტოელექტროკოლორიმეტრით საზღვრავენ ოპტიკურ
სიმკვრივეს 620 მილიმიკრონის ტალღაზე.

გამოანგარიშება (ყველა ფორმის ფოსფორა-
სათვის):

$$P = \frac{AEB}{DFC}$$

P არის არაორგანული ფოსფორი მიკროგრამობით, გ
ან მლ საანალიზო ნიმუშში.

A—გამოსავალი ნივთიერების მოცულობა განზავების
შემდეგ (ჩვენ შემთხვევაში 40 მლ)

E—ფოტოელექტროკოლორიმეტრის ჩვენების შესაბამისი ფოსფორი მიკროგრამობით

B—ნიმუშის მოცულობა ნახშირით დამუშავების შემდეგ
(25 მლ)

D—განზავებული ექსტრაქტიდან (A) აღებული ნიმუში მლ-ით (ნუკლეოტიდების აღსორბციისათვის — 10 მლ)

F—საანალიზოდ აღებული ნიმუში გ-ობით (10 კ) ან მლ-ით (10 მლ)

C—საანალიზოდ აღებული გამონაწვლილი (2–3 მლ)

მინისტრის ელემენტების განსაზღვრა ვაჭრი და ლანგოზი ალოვანი ფოტოგეოტრით

(ვაჭრისა და ლანგოზისათვის დამუშავებულია ო. წიწილაშვილის მიერ)

პრინციპი. შეკუმშული ჰაერის საშუალებით საკვლევი ნივთიერება გადაჰყავთ იეროზულ მდგომარეობაში, ურევენ აცეტილენს და აალებენ. ჯამური სპექტრი გაივლის ინტენზეონციულ შუქფილტრს, გამოიყოფა საძიებელი ნივთიერების სპექტრი, დაეცემა ფოტოელემენტზე და გარდაიქმნება ფოტოდენად, ეს უკანასკნელი აღირიცხება გალვანომეტრზე და აქცეული გამოიანგარიშება საკვლევი ნივთიერების რაოდენობა.

საჭირო რეაქტივები და აპარატურა.

1. სტანდარტული სსნარები: კალიუმის, კალციუმისა და ნატრიუმის სტანდარტული დედა-სსნარების მოსამზადებლად ხმარობენ ქიმიურად სუფთა და მუდმივ წონამდე გამომშრალ



190,7 მგ KCl-ს, 277,0 მგ CaCl₂-ს და 254,2 მგ NaCl-ს, უმატებელი
დაბეჭდით ლიტრიან სახომ კულაში, ხსნიან გამოხდილ წყალში,
უმატებენ 5 მლ 40%-იან ჭიანჭველმჟავა ალდეპიდს (ფორმალ-
დეპიდს) და გამოხდილი წყლით შიპავთ ნიშანხაზამდე.

შენიშვნა. KCl-ის და NaCl-ის კრისტალები უმჯობესია აღებულ
იქნას ფიქსონალიდან, რადგან იგი შედარებით სუფთაა მინარევებისა და ტე-
ნისაგან. CaCl₂-ის კრისტალები კი სასურველია მიღებული იყოს მედიცი-
ნაში ხმარებული ვენაში შესაყვანი CaCl₂-ის ამპულიდან, რისთვისაც ამპუ-
ლას ტეხნიკურ სითხე გადაქვთ პლატინის ტიგელში, ჭერ წყლის აბაზიანაშე
აორთქლებენ, შემდეგ მუდმივ წონამდე თერმოსტატში 105°C-ზე აშრობენ
და ექსიატორში აცივებენ.

ასეთი დედა ხსნარის თითო მლ შეიცავს 0,1—0,1 მგ
ზემოხსენებულ ელემენტებს.

სამუშაო სტანდარტული ხსნარების მოსამზადებლად იყე-
ნებენ 10 ცალ 100—100 მლ-იან სახომ კულებს. პირველ მათ-
განს ტოვებენ საკონტროლოდ, დანარჩენებს თანმიმდევრულად
უმატებენ 1, 2, 4, 8, 10, 20, 40, 80 და 100 მლ სტანდარ-
ტულ დედა ხსნარს და პირველ 9 კულას გამოხდილი წყლით
ავსებენ ნიშანხაზამდე, რომელსაც ლ-ზე დამატებული აქვს
ა5 მლ ფორმალინი.


2. ბალონი შეკუმშული ჰაერით, ან კბილების საპროცე-
სო კომპონენტი (სხვა კომპრესორის ხმარება, რომელსაც არ
ექნება შეკუმშული ჰაერისათვის სამარავგო რეზერვუარი, უსაფ-
რთხოების თვალსაზრისით, რეკომენდებული არ არის).

3. ქიმიურად სუფთა აცეტილენი—ბალონით.

4. ილოვანი ფორმოეტრი.

უკეთეს შედეგს იძლევა ცეისის ალოვანი ფორმოეტრი

მოდელი III, ან იგივე ფირმის ფლაქოკოლი, რომელთაშიც შემობის სქემა მოცემულია მე-13 ნახ-ზე.



ნახ. 13. ალოგანი ფლაქოკოლის მუშაობის პრინციპული სქემა
 1. მაგიდა ზამბარიანი ფეხით ხსნარის შესაღმელად. 2. საქშენი შეკუმშული ჰაერის შესაყვანად. 3. ხსნარის აწროვი მილი. 4. საქშენი ხსნარის გასაფრევევად, სარგებლაციო მუხლით. 5. სიღონი გაუფრევეველი ხსნარის ჩატონისადენად. 6. წვეთლაშეჭერი მომქერიანი ჩამოსადენით. 7. მილი აეროზოლის შემრევში შესაყვანად. 8. მილი აცეტილენის შემრევში შესაყვანად. 9. შეჭრევი აეროზოლის აცეტილენთან შესარევად. 10. აცეტილენის სანთურა საანალიზო ნიმუშის აალებისათვის. 11. დიაფრაგმა სპექტრის სასკაელი ჰერელის რეგულირებისათვის, 12. ჩაზნექილი ლინზა სპექტრის მისამართი. 13. ლინზური სისტემა საერთო სპექტრის შესაკრებად. 14. შუქფილტრების საცვლელი დოლი. 15. დაფრაგმა სპექტრის გაღასაკეტად. 16. ლინზური სისტემა შუქფილტრის მიერ გამოცალკავებული სპექტრის შესაკრებად. 17. გახელი გაცვლელი მინა ბუდით. 18. სელენის ფლაქოლემენტი ბუდით—გაღანომეტრთან შესაერთობებით შესრულიანი მომქერით.



განსაზღვრა. ალოვან ფოტომეტრს ათავსებენ ჭრიალობის სამუშაო მავიდაზე. პირველად რთავენ კომპრესორს. როდესაც კომპრესორში ჰაერის წნევა აიწევს, სინაინ კომპრესორიდან ჰაერის გამოხასცლელ ონკანს და რეგულირებენ სისტემაში ჰაერის სტაბილურ წნევას $0,3 - 0,5$ ატმოსფეროს მიღებამდე. ამის შემდეგ ბალონიდან აწვდიან აცეტილენს $15 - 20$ მმ წყლის სვეტის წნევით და ანთებენ სანთურას.

შენიშვნა. აცეტილენის გაზი თუ აბოლუტის იწყებს, ეს იმას ნიშნავს, რომ შეკუმშული ჰაერის ნაკადი საკმარისი არ არის და საჭიროებს მის მომატებას. წვის კონცენტრაცია იწყებს გაქრიბას, მაშინ სისტემაში არის ნაკადი კარბადაა და ითხოვს მის შემცირებას. ბირველად საჭიროა არის ჩართვა, ხოლო შემდეგ აცეტილენის მუშაობის დამთავრების შემდეგ კი პირიქით აღნიშნული მიმდევრობის დარღვევა სისტემაში იწვევს ძლიერ აფეთქებას.

სანთურის ოპტიმალური მდგომარეობის შესარჩევად ფოტოელემენტის მიმართ ახდენენ სანთურის რეგულირებას ზედა და ქვედა მიმართულებით, ისე რომ, მისი წვის კონცენტრაციის ფურქები გახეხილ მინაზე ნაჩვენებ წრეხაზე ხვდებოდეს, ხოლო კონცენტრაციის წრეხაზის შიგნით. რევულირების შემდეგ სინაინ გახეხილ მინას და მის აღვილას აკეთებენ სელენის ფოტოელემენტს, რომელიც წყვილი სადენით შეერთებულია გალვანომეტრთან.

ანალიზს იწყებენ პირველი კულით (საკონტროლო), რისთვისაც მას ათავსებენ პეტრის თასზე ან პატარა ქიმიურ ჭიქაში და უღგამენ გამფრქვევის ამწოვ მიღს (3). სინარი შეიწოვება გამფრქვევში, გადავა აეროზოლში და წვეთლამჭერის (6) გავლით გადიდევნება შემრევში (9), რომელიც შეერევა აცეტილენთან და აალჟება სანთურაში (10). ჩაზნექილი ლინზა — კონდენსორით (12) სპექტრს შეკრებს და წარმართავს

ლინზური სისტემისაკენ (13), გაივლის შუქფილტრის საცენტრალურო
დოლს, ფილტრიან ფანჯარას (14) და დაცემა სელენის ფო-
ტოელემენტს (18), ეს უკანასკნელი სპექტრს ვარდაქმნის ფო-
ტოდენად და წყვილი სედენით გადასცემს გალვანომეტრს.
სარკინი გალვანომეტრის მოძრავი შეკალა გამოხდილი წყლით
მიჰყავთ ნულოვან მდგომარეობამდე და ამის შემდევ გალვანო-
მეტრის სკალას აღარ ეხებიან.

კალიუმის სამუშაო მრუდის შესაღვენად თანმიმდევრო-
ბით აწარმოებენ დანარჩენ ცერა კულის ფოტომეტრიზებას.
აღრიცხვავენ თითოეული მათვანის შესაბამის გადახრას გალ-
ვანომეტრზე და ადგენენ სამუშაო მრუდს, რისთვისაც ორდი-
ნატზე ათავსებენ ცნობილი კონცენტრაციის კალიუმის სტან-
დარტულ სნარებს მკობით, რომ ამსცისაზე გალვანომეტრის
ჩვენებას.

კალციუმისა და ნატრიუმის მრუდი დგება ისე, როგორც
კალიუმისათვის იყო აღწერილი, მხოლოდ კალიუმის ფილტრს
ცვლიან კალციუმის ან ნატრიუმის ფილტრით.


მცენარეულ ობიექტებში მინერალური ელემენტების გან-
საზღვრისათვის აერმშრალ ნიმუშს ფქვაგენ და 0,25 მმ-იან
საცერმი ცრიან, შემდევ 1 გ 100 მლ-იან საზომ კულაში გა-
დააქვთ, 50 მლ გამოხდილ წყალს უმატებენ და 1 საათით
მაღლარი წყლის აბაზანაზე დგამენ, ნიშანხაზამდე ავსებენ
და ფილტრავენ. ასეთი ექსტრაქციით კალიუმი და ნატრიუმი
მთლიანად გამოირცხება, კალციუმის კი მხოლოდ წყალში
სნადი ფორმა ექსტრაკირდება, ამიტომაც კალციუმის რაო-
დენობრივი განსაზღვრისათვის ნიმუშის დაწვა აუცილებელია.
ალოვანი ფოტომეტრით მანერალური ელემენტების გან-
საზღვრისათვის ღვინო ექსტრაქციას არ მოითხოვს.



ეროვნული
ბიბლიოთეკი

ნატრიუმის განსაზღვრისათვის ღვინო უშუალოდ შემცირდება. შემცირდებული იქნას გამფრქვევში, კალიუმისა და კალციუმის განსაზღვრისათვის. კი სასურველია ღვინის თჯეო განხილება და შემდეგ მისი ფოტომეტრიულია.

გამონაწური ან განხავებული ღვინო ისევე შეაქვთ ფოტომეტრის სისტემაში, როგორც სტანდარტული ხსნარები, იღებენ გალვანომეტრზე ანთვალს, პოულობენ გრაფიკზე



რა. 14. სიმუშაო მოყდარ კალიუმის რაოდენობრივი ვანსაზღვრისათვის

შესაბამის კალიუმს, კალციუმს ან ნატრიუმს და აქედაცისფენის
გენენ მის ოროდენობას ნიმუშში.

მაგალითი. დავუშვათ, რომ სტანდარტულმა ხსნარებ-
მა კალიუმის ფილტრზე თანმიმდევრ რპცით გვიჩვენა 9,18, 36,
73, 95, 190, 368,535 და 740. თათოვული მათგანის კონცენ-
ტრაციისა და გალვანომეტრის ჩვენებით აგებული მრული შე-
ძლევ სახეს მიიღებს (ნახ. 14).

დავუშვათ, რომ საანალიზო ლვინო გააზავეს ათჯერ და
ამ ნიმუშის ჩვენება გალვანომეტრზე კალიუმის ფილტრით
იყო 190. ვრაფიცზე მას შესაბამება კალიუმი 20 მგ/ლ-ში,
ამ სიდიდის გადამრავლებით განზავებაზე შივიღებთ 200 მგ/ლ.
ანალოგიურად ანგარიშობენ დანარჩენ ელემენტებს.

შ 0 6 ა ა რ ს 0

მაღულარი ტკბილის შაქრიანობისა და ოლკოპოლის განსაზღვრა	3
ლვინის ფალსიფიკაციის დადგენა	4
ხსნადი ჟანგბადის განსაზღვრა ყურძნის პროდუქტებში პოლიაროგრა- ფიული მეთოდით	7
მელანოიდინების განსაზღვრა კონიაკის სპირტში	12
კარბონილური ნაერთების საერთო რაოდენობის განსაზღვრა კონია- კის სპირტში	15
მქონლავი კარბონილური ნაერთების განსაზღვრა რეაქციული გაზური ქრომატოგრაფიით	19
pH, Eh, Pco ₂ , Po ₂ ერთდროული განსაზღვრა ღვინისა და კონიაკის სპირტში	26
შაქრის განსაზღვრა იოდომეტრული მეთოდით	36
აზორის სხვადასხვა ფორმების განსაზღვრა შცენარეულ ობიექტების და ღვინოში	41
ფოსფორის ფორმების განსაზღვრა ვაზსა და ღვინოში	46
მინერალური ელემენტების განსაზღვრა ვაზსა და ღვინოში ალოვანი ფოტომეტრით	52



Андрей Димитрович Лашви
Новые методы анализа вина
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1973

რედაქტორი ე. ტრიპოლსკი
მხატვარი ტ. შეყილაძე
მხატვრული რედაქტორი ნ. ოქრუაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი ე. წერეთელი
გამომშვები დ. იამანიძე

გადაეცა ჭარბოებას 12/XI-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/II-73 წ.
ქაღალდის ზომა $70 \times 1081/32$. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 2.63.
საალრ.-საგამომც. თაბაზი 2.16.

უ 01304. ტირაჟი 500. შეჯ. № 1095.

ფასი 5 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარგანიშვილის 5. 1973

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 4.

Тбилисская типография № 4 Главполиграфпрома Государственного
комитета Совета Министров Грузинской ССР по печати

